

# მწეშეშე



მწეშეშე კეთილმან სული  
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის  
იონ. 10—11.

№ 13—14

1883—1908 წ.

31 ივლისი

## ზ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტერატურო განყოფილება:** იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო დამსწრესი.—ჩვენ ობლები არა ვართ.—ცხოვრების მარგალიტები.—სწავლა-განმთლების საქმე კავკასიაში.—რენანის აზრი სახარების შესახებ.—ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მობრძანება დაბა ჭიათურაში და ჭიათურის მომავალი ეკლესიის აღშენების საქმე, მღვ. ბ. ვაშაძისა.—რევოლუციის გამარჯვება ოსმალეთში.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მცენიებაჲ ჰრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ჯნომებაჲ:**—პირველნი იქმნებიან უკანასკნელნი, მღვდლის იონ. ლუკიანოვისა.—წიგნი ლევიტელთა.—



### იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო.

მოგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა უკანასკნელ ივნისის თვეში მომხდარ რიგის კრება გადადებულ იქმნა 1 ივლისის თვისათვის. ივნისის თვეში დანიშნეს კომისიები გამოსაკვლევად საქმის მდგომარეობისა ეპარქიალური სასწავლებლისა, სავაჟო სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებლისა; საქმის მდგომარეობის გამოსაკვლევად სანთლის ქარხნის წარმოებისა საზოგადოდ, და კერძოდ სანთლისა და საეკლესიო ნივთების საწყობებისა და სხ...  
კომისიებში სხვათა შორის იყო დანიშნული ერთი კომისია მღვდლის კ. ანთაძისა, ნიკ. ბარამაძისა და კ. კელენჯირიძისაგან, რომელთაც კრებამ დაავალა გამოეკვლიათ ახლად მონიჭებული რეფორმა სამღვდლო და საპრიეტნიკო კაცების აღრჩევის შესახებ სამრევლოთაგან და წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრება ამ მონიჭებული რეფორმის გაუქმებისათვის. ამას გარდა ეს კომისია ვალდებული იყო


თავიანთი მოსაზრება წარმოედგინა ამა თუ იმ სხვა და სხვა სამღვდლოებისათვის საინტერესო კითხვების შესახებ, მაგალითად, სასულიერო ჟურნალის დაარსებაზე, დაარსებისათვის საეპარქიო სტამბისა და სხვ.

იმედი გვქონდა ყველას, რომ კრება გაგრძელდებოდა ორი დღე და სამს მაინც არ გადასცილდებოდა. კომისიები მუშაობდნენ და შემუშავებულ კითხვებს ბევრი დრო აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ თავსმჯდომარის ბრალი იყო თუ სხვისი კრება მაინც ერთი კვირა გაგრძელდა და იმდენად არა გაკეთებულა-რა. ზოგიერთმა დეპუტატებმა მოთმინება დაჰკარგეს (და შეიძლება ხარჯის ფულიც აღარ ჰქონდათ) და მეექვსე დღის შემდეგ შინ წავიდნენ.

ათას გზის არის ნათქვამი, რომ სხდომების გახსნის დაწყებიდან სამღვდლოების კრების გარდაწყვეტილება მაშინვე იწერებოდეს და გარდაწყვეტილი ჟურნალი გათავებულად ითვლებოდეს. ეს კანონითაც ასე უნდა იყოს, მაგრამ იმერეთის სამღვდლოების კრებამ ეს ვერ მოახერხა; ვერ მოახერხა მიტომ, რომ ყველას უნდა გამოიჩინოს თავი

*Handwritten text at the bottom of the page, including a signature and a stamp.*





ვისი თავი ორატორობით და ერთჯერ გარდაწყვეტილი საქმე ხშირად უქმდება და მეორეჯერ სხვა განჩინება შედგება ხოლმე. ორშაბათიდან დაწყებული პარასკევის საღამომდე ერთი ყურნალი არ შედგენილა და ორმოც დეპუტატებში ძლივს ოცდა რვა მოაწერა ხელი ზოგიერთ ყურნალზე.

მიუცილებლად საჭიროა (და კანონიც ამას თხოვილობს), რომ კრების დრო უთუოდ განსაზღვრული იყოს ორი ან სამი დღით და თუ საპატიო მიზეზისა გამო კრებამ ვერ მოასწრო კითხვების გარჩევა ხელახლა უნდა ითხოვოს დრო. ამას გარდა თავს მჯდომარე ხშირად იღებს იმისთანა თხოვნებს, რომლის გარჩევა კრებას არ ეკუთვნის. სწორეთ სირცხვილია სამღვდელოებისთვის ორმოცდა მერვეჯერ იკრიბებოდეს და კრების წესები კიდევ არ იცოდეს და დღემდის კიდევ რიგიანად საქმე ვერ მიყავდეს. არ მაცადინობენ, რომ ყოველივე კანონმდებლობა კრების შესახებ შეისწავლონ, გაიძახიან: „მე ასე მსურს“ და კანონი, რომ მისი აზრის წინააღმდეგია ამას არ დაეძებენ.

—ღიად, ბევრი მსჯელობა, ბევრი დრო მოახმარეს ამ უკანასკნელ სამღვდელოების კრებას, მაგრამ საქმე იმდენი არა გაკეთებულა-რა.

მეორე ნაკლულოვანება კრებისა აშკარად შესამჩნევი იყო ყველასათვის; ვერ შეამჩნია მხოლოდ თავსმჯდომარემ. კრებას ჰქონდა გადმოცემული სასწავლებლებიდან საბაასო და გადასაწყვეტი კითხვები. სამღვდელოების კრებამ უნდა იქონიოს მსჯელობა ამ კითხვების გარდასაწყვეტად და გაათავოს ყურნალის დადგენილობით. მაგრამ ამ წესს როდი ჯერდება ზოგიერთი თავხედი პირი. მოდის კრებაზე, მოიმხრობს ორიოდ დეპუტატს და დაიწყებს ყბედომას. აქ სურვილი დეპუტატების აღარ მოქმედობს. თუ სამღვდელოების კრებამ მის სასურველად არ გადასწყვეტა კითხვა შექნის ერთ ალიაქოთს, დაიწყებს მუქრობას და ისეთ სამარცხვინო სიტყვებს წამოისვრის, რომელიც კრებას არ შეშვენის. ამისთანა დონკიხოტები, ამისთანა პირები არ უნდა იქმნენ შემომგებულნი კრებაზე, მაგრამ თავსმჯდომარემ სრულებით არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამას და ამიტომაც კრების ზოგიერთმა დეპუტატებმა აკადრეს ისეთი სიტყვები რომელიც თავსმჯდომარისაგან მოსათმენი არ იყო...

თუ ქალების სასწავლებლის შესახებ საქმე რაიმე ირჩევა ბატონი ჩოლოვაძე მაშინვე გამოიღვიძებს, წამოიყვანს თან ორიოდ პირს საბჭოს წევრთაგანს ან საბჭოს თავსმჯდომარეს, ჩასხდებიან დეპუტატებში და დაიწყებენ ერთ ომობას, რომ სამღვდელოების კრებამ მათის სურვილისამებრ უთუოდ უნდა გადაწყვიტოს კითხვა, დაიწყებს ბაქიაობას, მე ეს გავაკეთე, მე დავაწინაურე ქალების სასწავლებელიო, ახალი პროგრამა შემოვიღეთო და ვინ მოსთვლის კიდევ რაებს არ იტყვის რომ ძილი... დეკ. დ. ლამბაშიძემ კანონიერად შენიშნა, რომ მას არავითარი უფლება არა აქვს კრების მსჯელობაში ჩაერიოს და ალიაქოთი ასტეხოს. მას, ჩოლოვაძეს შეუძლია თავისი აზრი მოახსენოს კრებას და მიბრძანდეს გარეთ, ის არ უნდა ავიწროებდეს სამღვდელოების დეპუტატებს და ძალადობას არ უნდა ხმარობდეს საქმის გარდასაწყვეტად. დეკ. ლამბაშიძემ მოითხოვა ჩოლოვაძისაგან განემარტებინა მისთვის, თუ რა მიზეზისაათვის იყო მოხდენილი ეჭვამენები საღამოობით და რათ უშვებდენ ღამე ქალებს ღვთისანაბარად?..

ბ. ჩოლოვაძე წამოვიარდა და დაიწყო:

—„არ გაუგონოთ ლამბაშიძეს. მაგას უნდა, რომ ყველა სასწავლებლები მოისპოს და ქალების სასწავლებლის დაქცევა სურს Онъ подкапывается къ училищу и хочет чтобы оно совершенно закрылось... წინანდელ საბჭოსთან რაღაცა უკმაყოფილება ჰქონდა და ჰგონია, რომ მათთან აქვს დღესეც საქმე. ჩვენ კარგად მიგვყავს საქმე და რა უნდა მაგას არ ვიცით. ეგზამენები რეალურ სასწავლებლებშიაც კი არი ხოლმე საღამოობით და რა დიდი საქმეა რომ ეს ჩვენც მოვახდინეთ.“

—„სამწუხაროა, რასაკვირველია, ჩოლოვაძის ცილის წამება, სთქვა დეკ. ლამბაშიძემ, ჩოლოვაძემ არ იცის რაღაცას ლაპარაკობს. არ იცის მან, რომ ქალების სასწავლებლის დაარსების ინიციატორი ჩვენ ვიყავით და არა ჩოლოვაძეები. არ იცის მან, რომ დღესაც უმეტესად გული შეგვტკივა სასწავლებელზე ჩვენ და არა ჩოლოვაძეებს. ჩოლოვაძე ფიქრობს ფულების შეკრებაზე უმეტესად ვინემ სასწავლებელზე. მზად არის გაკვეთილები აიღოს ყველა სასწავლებელში და ეგზამენები თუ გინდ შუალამისას მოახდინოს შესაძლებლად მიაჩნია. სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა ცილის წამებით



ზოგიერთ მღვდლებსაც მიმართავს ხოლმე ჩოლო-  
ვაძე და მათთან დონკიხოტოზს და უმტკიცებს,  
რომ იგი არ იყო. სასწავლებელს აქნობამდისინ  
დაგვიკეტავდენო!!.“

ჩოლოვაძისაგან გასაკვირვალი არაფერია, მაგ-  
რამ გასაკვირვალი იყო თავსმჯდომარის მოქმედება,  
რომ ლაპარაკის ნებას აძლევს კრებაზედ ისეთს პი-  
რებს, რომელთაც არ ესმისთ რაღაცას ლაპარა-  
კობენ.. სამწუხაროდ, თავსმჯდომარე ნაცვლად  
ჩოლოვაძის დათხოვნისა კრებიდამ კიდევ ქო-  
მაგობდა და პასუხის თქმის ნებასაც აღარ აძლევ-  
და ერთ დებუტატს. ამისათვის მთელმა კრებამ  
უკან წააღებინა თავსმჯდომარეს მისგან გამოთქმუ-  
ლი სიტყვები და ითქვა ის, რაც ჩოლოვაძეს  
არ სურდა. ჩოლოვაძე გაძალდა, აღარ გავიდა კრე-  
ბიდან, ისარგებლა თავსმჯდომარის სისუსტიით.

ჩოლოვაძის თავ გასულობის დასამტკიცებლად  
მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს. ქალების სასწავ-  
ლებლის საბჭო ითხოვდა ოფიციალურად, რომ  
სამღვდელოების მხრით ერთი წევრი აღრ-  
ჩეულიყო. როცა ეს ქალადი მოხსენდა კრებას  
ჩოლოვაძეს ეყვინთრებოდა, მაგრამ გამოფხიზლდა  
და სურდა გაეგო თუ ვის აირჩევდა კრება. რამდენიმე  
დებუტატებმა დაასახელეს მღვდელი სიმონ მჭედ-  
ლიძე. წამოვარდა ზეზე ბ. ჩოლოვაძე, და კრებას  
მოახსენა: „არ შეიძლება მღ. სიმონ მჭედლიძის  
წევრად აღრჩევა, იმან ისეთი რამე დაბეჭდა თავის  
გამოცემაში ამ სასწავლებელზე, რომ მისი წევრო-  
ბა არ შეიძლება ამ სასწავლებელში. მე მიწ-  
დოდა პასუხი გამეცა მისი სტატიისათვის და  
კიდევაც გავამტყუნებდი, რომ ის ცილს სწამებდა  
სასწავლებელს, მაგრამ თავი დავანებე. არ შეიძ-  
ლება ის წევრად იქმნეს არჩეული“. მღვდელმა ს.  
მჭედლიძემ განაცხადა: მე მაღლობას მოგახსენებთ,  
მამანო, ნდობისათვის, მაგრამ რა სარგებლობა უნდა  
მოიტანოს ჩოლოვაძისთანა კაცებთან ჩემმა სამსახურ  
მა? გთხოვთ განმათავისუფლოთ.“ მთელმა კრებამ  
სთხოვა მას, რომ დათანხმებულიყო წევრობის თანამ-  
დებობაზე ქალების სასწავლებელში. გაუკვირდა  
ბ. ჩოლოვაძეს კრების სურვილი მღ. ს. მჭედლიძის  
ღრწვის შესახებ და მოახსენა კრებას: „თუ მაინც  
და მაინც გსურსთ მჭედლიძის დანიშვნა წევრად  
ეხლავე ვაცხადებ, რომ აეკრძალოს მას თავის გა-  
მოცემაში სასწავლებლის შესახებ რამეს დაბეჭდვა.  
დასდვას პირობა, რომ იგი არას დაბეჭდვას სას-  
წავლებელზე.“

მკითხველს ადვილად შეუძლიან ვაიგოს ბ.  
ჩოლოვაძის საქციელიდან და სიტყვებიდან თუ რა  
კაცი ბრძანებულა და როგორი ინსპექტორი ყო-  
ლებია სამღვდელოებას ქალების სასწავლებელში...

არ ეღირსა და არა ერთი რიგიანი ინსპექტორი  
ამ სასწავლებლის დაარსებიდან. დიდად სამწუხა-  
როა ეს. პირველმა ინსპექტორმა რა საგმირო საქ-  
მეები ჩაიდინა ამ სასწავლებელში ყველაპ კარგად  
იცის. იმის გულისათვის რომ ყურადღება დაემსა-  
ხურებია მაშინდელი საბჭოს თავმჯდომარისა ისე-  
თი საზისლარი საქციელი ჩაიდინა საბჭოს ერთ  
სხდომაზე, რომ ყველა წევრები გააკვირვა და ბო-  
ლოს დიდის თხოვნით და შენანებით ბოლოში მო-  
ითხოვა სამღვდელოების მხრით დანიშნული წევ-  
რის წინაშე და ეპატივა მისი ხეპრული მოქმედება.  
ბოლოს რევიზიის მოხდენის გამო სულ დათხოვ-  
ნილი იყო და გაშორებული ქუთაისიდან. შემდეგ  
დაინიშნა ინსპექტორად ისეთი კაცი, რომელიც  
ერთ დროს დათხოვნილი იყო ქალების სასწავლებ-  
ლიდან მისი აუტანელი ხასიათისათვის. ეს კაციც  
მოგვშორდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ვერ დაი-  
ქადებს სამღვდელოება, რომ მას ყავს სასწავლე-  
ბელში საიმედო ინსპექტორი.

კანონით ქალების ინსპექტორად უნდა იყოს  
ვინმე მღვდელთაგანი, მაგრამ ქუთაისში ვინ მონა-  
ხავს ამ თანამდებობისათვის შესაფერის მღვდელს?  
დიდად, აღარ გვყავს კაცები, და ანაფორა ხომ ვერ  
გააჩენს კაცს!...

საჭიროა, რომ ამ სასწავლებელში აღიზარდ-  
ნენ ნამდვილი დედები, რომელთაც შეიძლონ სოფ-  
ლებში ცხოვრება. საჭიროა, როგორც ამბობდა  
განსვენებული გაბრიელი, ამ სასწავლებლის მოს-  
წავლეებმა იკოდენ ოჯახობა, ქრა, კერვა და ყვე-  
ლა ის რაც საჭიროა ოჯახისათვის. შევიცარიელებს  
ჩვენ ვერ გავაკვირვებთ ქალიშვილებით... სამღ-  
დელოებას და მშობლებს ძვირად უჯდებათ ამ სას-  
წავლებლის შენახვა და სარ ებლობა კი მცირეა.  
ზოგს ჰგონია, რომ თუ რუსული ენა შეისწავლა  
მოსწავლემ სხვა საჭირო აღარაფერია, გათავდა განათ-  
ლება! ამას ფიქრობენ ზოგიერთი პედაგოგებიც,  
მაგრამ ცხოვრება კი სხვას გვიმტკიცებს.

საჭიროა სამღვდებობამ სერიოზულად მოი-  
იქროს ამ სასწავლებელზე..

დამსწრე.



ჩვენ ოკლები არა ვართ.

IV

ძველი დროიდან გადმოვიდეთ ახალ დროე-  
ბასთან. გავშინჯოთ იგი. ერთ საუკუნოზე ცოტა  
მეტია მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დიდი არე-  
ულობა მოხდა.

ბევრი აღსდგა საბრძოლველად ეკკლესიის  
წინააღმდეგ; სამღვდლოებას ბრალი დასდევს, რომ  
იგი ავრცელებს ხალხში მხოლოდ ცრუ-მორწმუ-  
ნობას და ამის გამო ძალიან ჰყვლევდას მას.  
დაიწყეს ლაპარაკი: ღმერთი არ არის, ქრისტე  
არასოდეს არ მოსულა ქვეყანაზე, ეკკლესია არ  
არის, საიდუმლოები — მხოლოდ გამოგონილებაა,  
სახარება — ჩვეულებრივი, უბრალო წიგნიო. სიტყ-  
ვებიდან ის უკუნიური ხალხი გადავიდა საქმეზედაც.  
მოაწყვეს თავის ცხოვრება ისე, როგორც იმათ  
მიაჩნდათ უმჯობესად. მღვდელთ-მთავრებს და  
მღვდლებს დაუწყეს ხოცვა, ეკკლესიებს — დანგრევა,  
დაწვა. უდიდესი სიწმინდეები ქრისტიანობისა გა-  
მოჰქონდათ მოედანზე, ერთად აგროვებდნენ და  
ისე სწვამდნენ. ღმერთი უარ-ჰყვეს, და მის მაგივ-  
რად მოიგონეს „გონების ღმერთი“ (БОГИНЮ раз-  
зума), გააკეთეს იმისი სახე, და დაუწყეს იმას  
თაყვანის ცემა, დააწესეს იმის პატივ-საცემლად  
სხვა და სხვა დღესასწაულები. ქალაქის ქუჩებში  
და ზოგიერთ ტაძრებში გაისმა გალობა ახალ  
ღმერთის სადიდებლად...

მაგრამ დიდ ხანს არ გაგძვლებულა ასეთი  
ცრუ გამარჯება ახალ წარმართებისა ქრისტეზე.  
თითქმის ჯერ კიდევ არ გამქრალიყვნენ კოცონები,  
რომელზედაც ისინი, — მახარობლები ძლეობისა, თა-  
ვისუფლებისა და თანასწორობისა, — ჰყოფდნენ თა-  
ვიანთ სამართალს, ჯერ კიდევ არ გაცოცხლებულიყო  
იმათგან დაქცეული ქუჩებზე სისხლი უდანაშაულო  
ხალხისა, — როგორც ვილაცას შემძლებელმა ხელმა  
მოსწყვიტა პირისაგან ქვეყანისა ისინი, რომელნიც  
თვითნებისად ჩემულობდნენ ყველგან მასპინძლო-  
ბას. სისხლმა, იმათ მიერ დაღვრილმა, მოიტანა  
იმათ თავზედაც სისხლი. ძალმომრეობა, რომლი-  
თაც იმათ დაღუპეს მრავალი ხალხი, თვითონ იმათ  
დაატყდათ თავს. თითქოს, თითონ ღმერთმა დააბრ-  
მავა ისინი: ბევრი იმათგანი ერთი-ერთმანეთის წი-  
ნააღმდეგ აღდგა და შემუსრეს თავიანთი მოძმეები,  
რომლებთანაც ერთად ისინი იბრძოდნენ ქრისტიან-

ობის მოსპობისათვის. სხვები იმათგანი დაიღუპნენ  
იმათგან, რომელნიც მათ არ ემორჩილებოდნენ.  
ხელმეორეთ ტაძრები აივსო ხალხით, და ბრწყინ-  
ნავენ სიმშვენიერით. ხოლო უღვთო „გონების  
ღმერთისაგან“ კვალიც-კი აღარ დარჩა. და ამის  
შემდეგ ასი წელიწადზე მეტმა გაიარა...

აი ჩვენ განვიცდით ეხლა ძველ დროს. შეხე-  
დეთ, რანაირი ვმობით გავსეს ჩვენი ეკკლესია  
ათასმა უგუნურებმა. შეხედეთ რა ბრაღსა სდებენ  
სამღვდლოებას. შეხედეთ რანაირათ დასცინიან  
წმ. სახარებას. შეხედეთ რამდენი თავის საკუთარი  
სახარება შეთხზეს. იცინიან ისინი თვით ქრისტეზე.  
ამბობენ, რომ ჩვენი ღმერთი „მოვკალით“, „დავ-  
მარხეთ“-ო. ამბობენ, ჩვენ „ძველი ღმერთი“ აღარ  
გვინდაო; ისინი თხოულობენ ახალ ღმერთს. წიგ-  
ნის ბაზარი გაივსო ღვთის-საგმობელი წიგნებით.  
აქ არი შეგროვილი ყოველივე ის, რაც-კი აღა-  
მიანის ბოროტებამ და უგუნურებამ შესთხზეს ღვ-  
თის წინააღმდეგი. მთელი ჯგუფები მცარცველებისა  
შეხბო ტაძრებს, უშიშრად და ურცხვად გაიტაცეს  
იქიდან დიდი სიწმინდეები, საეკკლესიო განძები  
და ფულები. არ დარჩა არც ერთი ქრისტიანობ-  
რივი კეთილი საქმე, რომელიც მასხარათ არ აიგ-  
დეს მათ. ეხლა თითქმის საშიშიც გახდა ქრისტიან-  
ნად ყოფნა. როდესაც აზრში წარმოიდგენ ყოვე-  
ლივე ამ შესახარ რაოდენობას: ბოროტების, სიც-  
რუის, ცილის-წამების, ძალმომრეობის, — უნებ-  
ლიედ შეძრწუნდები და ფიქრობ: კიდევ არსებობს  
განა დედა-მიწაზედ ქრისტიანობრივი სარწმუნოება?  
კიდევ არიან ქრისტიანები? არ დაცარიელდნენ  
ჩვენი ტაძრებიც?

ასე გგონია, როდესაც ყურს უგდებ, ან კით-  
ხულობ სიტყვას ქრისტეს ეხლანდელ მტრებისას.  
მაგრამ, მართლა ასეც არ არის საქმე.

შეხედეთ ახა ეხლა ამ წმიდა ტაძარს. ის გავ-  
სებულია მლოცველებით. ბევრმა დასტოვა თავისი  
საქმე და მოვიდა აქ. ზოგმა კიდევ სხვა და სხვა  
გართობას ეკკლესია ამჯობინა. ბევრი მთელი ოჯა-  
ხობით არის აქ მოსული. მე ვხედავ აქ ხალხს ყვე-  
ლა ჰასაკისას, დაწყებული ძუძუ-მწოვარა ბავშვიდ-  
გან — ღრმად მოხუცებულამდე. სთქვით სინიდისის  
ქვეშ, გულ-ახდილად, ვინ შეგკრიფათ თქვენ აქ,  
რომელმა ძალამ გაიძულათ თქვენ დაგეტოვებინათ  
საკუთარი საქმეები და აქ მოხვედით. განა ქრის-  
ტემ არა?...



ვუცქერი მე ამ ხალხს, და ვხედავ, რომ იგი გულს მოდგინებით, სულ-განაბული, ყურს უგდებს ჩემს უძლურ სიტყვას. ბევრის თვალეზზე ვხედავ ცრემლებს, იქით მესმის ტირილი, აქეთ მესმის ღრმად ამოკენესა, აქ ვხედავ თვალებს, ქრისტესაკენ მიმართულს, აღსავსეებს მტკიცე, ცხოველის სარწმუნოებით. მე უცქერი თქვენ პირისახეს და ვხედავ, რომ თქვენ ხართ განათებული არა ქვეყნიურის, არამედ ზეციურის ნათელით, თქვენგან გამოკრთება რაღაცა არა ჩვეულებრივი სიხარული. თქვენ, ვგონებ, ეხლა მზათა ხართ ყოველივე ტანჯვაზე წახვიდეთ ქრისტეს სახელისთვის, მზათა ხართ მისცეთ ყოველივე, და მართლაც მისცეთ. თქვენ თითონ არა გაქვსთ-რა მაგრამ მოგაქვსთ აქ უკანასკნელი კაჟიკი ხან დამშეულთა სასარგებლოდ, ხან ტაძრისა, ხან კიდევ სხვა კეთილი საქმისა. მე ვგონებ, თქვენ სულსაც-კი არ დაინანებდით მისაცემად, რომ მოეთხოვნათ. მითხარით გულახდილად მე, ვინ გინერგავთ თქვენ გულში ამისთანა ფიქრებს და გრძნობებს?—განა ქრისტე არა?..

მე ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი ღარიბია; ბევრი თქვენგანი მძიმე შრომით ძლივს შოულობს ლუკმა პურს, და მხოლოდ ლუკმას. თქვენზე თითქმის დაგლეჯილი ტანისამოსია. სცხოვრობთ უბრალო ქოხებში. მაგრამ თქვენს სულში ისეთი სიწაფითა, ისეთი მშვიდობაა, რომელიც არ იციან მდიდრებმა, დიდებულებმა და ნაწავლებმა. მითხარით მე, საიდან არის ეს მშვიდობა, საიდანაა ეს განათლებული ქრისტიანული შეხედულება ყველაფერზე? განა ქრისტე არ არის მიზეზი ამისი?..

მაგრამ, შეიძლება თქვენ მითხარით მე, გვაჩვენეთ ჩვენ ცხოველი ქრისტე, თუ მართლა ჩვენ „ობლები“ არა ვართ, რომ ჩვენი თვალთ შეგვეძლოს მისი დანახვა, ჩვენი ხელებით—მისი შეხება.

დაგისახელოთ თქვენ აუარებელი გუნდი წმინდანთა, რომელთაც ეხლაც ნახეს ქრისტე თავის თვალთ? დაგისახელოთ თქვენ ისინი, რომელთაც თავის თვალთ ნახეს ეკლესიებში ქრისტე, რომელიც ხალხს აკურთხევდა, ან ცოდვილებს ცოდვას შეუნდობდა? გითხრათ თქვენ ის მღვდლები, რომელთაც იხილეს იგი ტრაპეზზე? გითხრათ თქვენ იმ გამოუთქმელი, ტკბილი, მაღლიანი წუთები, როდესაც ჩვენ ვგრძნობდით ცხადად არა ქვეყნიურ სიცოცხლეს? განა ვერ მოიგონებთ თქვენ ისეთ

წუთებს, როდესაც თქვენ გქონდათ ისეთი გრძნობები, რაც ქრისტეს, როდესაც თქვენ შეგვეძლოთ გეთქვათ, რომ „სცხოვრობთ არა თქვენ, არამედ სცხოვრობს თქვენში ქრისტე“. განა ქრისტე არ იყო მაშინ ჩვენთან?

ჩვენ ვნახეთ არა ჩრდილი, არა რომელიმე მოჩვენება. არა, ჩვენ ვიხილეთ ცხოველი არსება, ჩვენი მსგავსი. ჩვენი შიგნული გრძნობა, ჩვენი ცნობიერება დატყვევებულ იქმნა იმ პიროვნებით. ჩვენ, თუმცა ცოდვილნი ვართ, ვნახეთ ქრისტე, შევეხენით მას საგრძნობელად. გარნა, ჩვენ რომ უფრო წმინდა და სრული ვყოფილიყავით, ამ სახით ვიხილამდით ქრისტეს?—მაშინ ჩვენ ვისაუბრებდით მასთან პირის-პირ...

## V

გავათაოთ ეხლა საუბარი. როდესაც მე ვუცქერი ბოროტებას ეკლესიის მტრებისას, რომელიც სცდილობენ მთლად მოსპონ იგი, მე თითქმის ნათლად ვხედავ, თუ როგორ ყველგან და ყოველთვის, ეხლაც ჩვენ თვალეზ წინ, იმათ პირის-პირ ებრძვის ქრისტე, და მგონია მე, რომ ჩვენ იმდენად არ ვებრძვით იმათ, რამდენაც ჩვენთვის იბრძვის ქრისტე, და არტყავს იმათ ბოროტ შეთქმულებას- და რა საწყლები და საბრალონი არიან ისინი წინაშე უძლეველის გალილეველისა. იმათ არამც-თუ არ შეუძლიანთ გასდევნონ ეს ძვირფასი სახელი პირისაგან ქვეყანისა, არამედ არ ძალუძსთ გასდევნონ იგი თავიანთ საკურარს გულისაგან. როდესაც ისინი ღალატებენ, რომ ჩვენ „ღმერთი მოკალითო“, მაშინ განა ქეშმარიტ ღმერთზე არა ღალატებენ მათი სულნი მთელის მათი არსებით? როდესაც ისინი გვაძაგებენ ჩვენ ჩვენის გულგრილობისათვის, მაშინ არ მოწმობენ ისინი თავისივე პირით ცხოველ ღმერთზე? როდესაც ისინი გვეუბნებიან, რომ უნდა ვემსახუროთ ხალხს, კეთილს უნდა ვყოფდეთ, მაშინ ისინი ამითი განა არა ღაპარაკობენ ღმერთზე, როგორც მოსიყვარულე მამაზე? როდესაც ისინი გამობას ამბობენ ქრისტეზე, განა ისინი მაშინ ქვების მსგავსად, არა ღალატებენ ქრისტეზე? იგი ახლოსაა იმათ გულთანაც-კი...

მეგობარნო ჩემნო, ეხლაც ქრისტე მაცხოვარი ყველგან და ყოველთვის დადის დედა-მიწაზე და მფარველობას უწევს თავის ერთგულ შვილებს.



აი ეხლაც იგი ჩვენთანაა. ეხლაც იგი ყველგან ჩვენთვის იბრძვის. ქრისტე რომ არ ყოფილიყო ჩვენთან. აქამდის დიდი ხნის აღგვიღებოდა ვიქნებოდით პირისაგან ქვეყანისა. ჩვენ გვდევნიან არამცთუ ჩვენი მტრები, არამედ მთელი ლაშქრები ბნელ ძალათა, რომელნიც მათთან ერთად იბრძვიან. მაგრამ ჩვენ „ობლად“ არა ვართ დატოვებულნი. მაშ ჩავინერგოთ ჩვენს გულში სიხარულით ის აზრი, რომ მართლაც ჩვენ „ობლები“ არა ვართ. ვილაპარაკოთ ამაზე ყელგან და ყოველთვის, დღისით და ღამით. დავიცვათ ყოვლად-წმინდა სახელი ქრისტესი, როგორც ის გვიფარავს ჩვენ. ნუ მივცემთ იმას ჩვენ მტრებს დასაცინვად. ჩვენ სიცოცხლეს ნუ დავზოგავთ იმისი ყოვლად სახელის გულისთვის. წავიდეთ და დავიხოცნეთ ქრისტეს გულისთვის, როგორც იხოცებოდნენ იმისათვის პირველი ქრისტიანები.

უფალო! შენ ეხლა უხილავად ხარ ჩვენთან და ხედავ ჩვენს განზრახვას და სურვილს. განგვაძლევ ჩვენ...

მკვ. ი. ანდრე კოლუკიანოვი.



**ცხოვრების მარჯალიტავი.**

(თარგმანი)

ბევრს შეიძლება წაკითხული ჰქონდეს მოთხრობა—იგავი და იქნება ნახულიც ჰქონდეს ამაზე ნახატიც ჟურნალებში, ლაკონიურის სათაურით „ნალი“.

სიცხიან შუადღისას, ქრისტე თავის ნოწაფეებით მიდის ქვიანი გზით ერთი სოფლიდგან მეორეში, რომ ახაროს ხალხს სასუფეველი ღვთისა... სიცხის ბური ტრიალებს; შემაწუხებელი მტვერია; წყალის წყურვილით სასა უშრებათ... გზაზე ნალი გღია.

ქრისტე აქცევს მწყურვალე პეტრეს ყურადღებას ამ ნალზე და ანიშნებს რომ აიღოს იგი. პეტრე მიდის უყურადღებოდ. ქრისტე ჩუმად იღებს ნალს.


აი, ბოლოს, მივიდნენ ესენი მახლობელ სოფელში, წყლის წყურვილი მოიკლეს, და ნაცვლად დააღვივნეს სხვებს „წყალი ცხოველი“, წავიდნენ კიდევ იქით. იგივე სიცხის პაპანაქება, ბური და მტვერია. იგივე აუტანელი წყურვილი აწუხებს პეტრეს. აღგზნებულის მხედველობით იცქერიან წინ; უნდათ ჩქარა გაიგონ რაიმე ნიშნებით სიახ-

ლოვე შემდეგის სოფლისა. მაგრამ არა, — გარშემო, ირგვლივ დიდ მანძილზე არა სჩანს სოფელი.

ქრისტე მიდის პეტრეს წინ და იმის შეუქმნევლად ხელიდან აგდებს გზაზე ნოყიერს ყურძნის მარცვალს. შეამჩნია ეს პეტრემ, მსწრაფლ აიტაცა და სიამოვნებით ჩაიდო პირში. გამოაწუწულმა წვენმა დაუღბო მას გამშრალი პირი და უფრო სუბუქად იგრძნო თავი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ შემდეგ ხელ ახლა წყურვილი აწუხებს მას. ქრისტე ხელმეორედ ერთ მარცვალს აგდებს გზაზე; პეტრე სიხარულით იღებს მას და არ იძიებს, საიდან ჩნდება აქ ეს მარცვლები. ის ამაზე არ ფიქრობს, არ იწუხებს თავს. იმას უნდა როგორმე წყლის წყურვილი მოიკლას, იმისთვის სულ ერთია, საიდანაც უნდა დავარდეს მარცვალი, ოღონც-კი ამ მარცვალმა ცოტათი მაინც გაუსველოს წყურვილისგან გამშრალი პირი, იგი თვალს არ აშორებს გზას. მარცვლები თან და თან სცივია. პეტრე დაუყონებლივ ჰკრეფავს მას. მაგრამ აი უცებ ესმის მას, რომ იმას უძახის ქრისტე; მის თვალეში პეტრე ამჩნევს ალერსიან საყვედურს. ქრისტე ეუბნება მას: შენ არ დაგეზარა რამდენჯერმე დაღუნვა და აღება გზიდან ყურძნის მარცვლებისი; მე ვაბნევიდი იმათ. იმ ნალის ფასით, უომელიც გუშინ შენ არ აიღე, დღეს დილით მე ვიყიდე ყურძენი. ნახე რანაირად გამოგვადგა იგი. აი აწნაირათაა, მეგობარო, ქვეყანაზედაც: ბევრი არ აქცევს ყურადღებას იმ უბრალო და ცხად აზრებს, რომელთაც ხან და ხან გამოსთქვამენ ხოლმე არა დიდებულნი, მაგრამ ჭკუით გონიერი ადამიანები...

ეს მოთხრობა და ამისი მხატვრობა წარმოიშობა მე თვალ-წინ, როდესაც მე, მწყემსებრი მოცლის დროს ვცდილობდი ამეხსნა კითხვა: სიტყვა ღვთისა, ასეთი მძლავრი უწინდელ დროში, ეხლა თითქმის რათ ჰქარგავს ძალას? რატომ ეს „სიტყვები საუკუნო ცხოვრებისა“, რომელნიც სწვამდნენ კაცის გულს, და „უმკვეთლეს უფროს ყოვლისა ორ-პირი, მახვილისა მისწვთებოდა იგივე განსაყოფელამდე სამშვინველისა და სულისა“ (ებრაელთა 4, 12), ეხლა არამცთუ არ ათბობენ ჩვენს გულს, არამედ ხან და ხან სიცილს ან ღიმილს გამოიწვევენ, როდესაც ზოგიერთა ახალგაზდა, რომელსაც ჯერ „რძე არ შემორობია ტუჩებზე“, თავხედად და





უსირცხვოდ დასცინის მას, რომელმაც თავის სი-  
ცოცხლე არ დაიშურა ჩვენთვის, რომელმაც ცხოვ-  
ნება მოგვანიჭა ჩვენ, რომელმაც მოგვცა ჩვენ მად-  
ლი და ძალა ცოდვასთან ბრძოლისა!.. რატომაა,  
რომ „მარგალიტები ცხოვრებისა“, მძივი მრავალ-  
საყიდელი—ღვთის წმინდა სიტყვა—უსირცხვოდ  
ფეხ ქვეშ იქელება ხალხისაგან ამ დროში?..

და ვფიქრობ მე: იქნება იმიტომ, რომ იგიც,  
სიტყვა ღვთისა, ბევრს მიაჩნია ეხლა უვარგის ნა-  
ლად ძველი ცხოვრებისა? კაცის მოუსვენარი აზრი  
ისეთი ნაყოფიერი შეიქმნა, რომ ზღვის ტალღები-  
ვით მოაწყდა ქვეყანას და ყველაფერი წალეკა.  
სხვა და სხვა თეორიები და გიპოტეზები ესწრა-  
ფებოდნენ და ესწრაფებიან დაეპყროთ უფლება  
ქვეყანაზე, მაგრამ გავიდა მარტო მხოლოდ ერთი  
დღე, რომ იმათ ნაცვლად ჩნდებიან ათი სხვა  
თეორიები... აქეთ-იქით აწყდება ადამიანის დაუდგ-  
რომელი სული და უნაყოფოდ ეძებს მშვიდობას  
„გარეთ“. დავიწყებულია ოქროს სიტყვა, რომ ჩვენ  
ყველამ მშვიდობა უნდა ვეძებოთ გარეთ-კი არა,  
არამედ მხოლოდ თვითონ ჩვენშივე, ჩვენის გულის  
სიღრმეში (ლუკ. 17,21).

აი დასავლეთი ამ ასი წლის ცოტა წინად  
აღელვდა,—უვარგისად ეჩვენა მას წინანდელი წყო-  
ბილება ცხოვრებისა. სისხლის ნიაღვრები დაიქცა,  
—და ამით რა გამოვიდა? განა დამყარდა მშვიდობა  
ხალხის გულში? განა ჩადგა თავი კალაპოტში და-  
უდგრომელი მდინარე ცხოვრებისა? განა ბორო-  
ტება მოისპო და გამეფდა სიმართლე ქვეყნად?

ოხ, არა? თუმცა ქვეყანა შედარებით წინან-  
დელთან გაცილებით წინ წავიდა და დიდი უფლე-  
ბაც მოემატა ყველას, მაგრამ წინანდელი დახლარ-  
თული ნასკვი ცხოვრებისა სისხლიანის ხმლით ვერ  
არის დაჭრილი: ბოროტებამ არ მოიხარა თავი და  
თანამედროვე „მნეც-კაცი“ უფრო კიდევ მიუახ-  
ლოვდა საუკუნოდ დაღუპვის ჯურღმულს. და  
თითქოს ახლოა ის დღე, როდესაც უფალი ხელ-  
ახლა იტყვის, რომ იგი „არა შეურაცხ-იქმნების“  
(გალატ. 6,7).


„ახალ ცხოვრების“ გზაზედაც წინანდებურად  
ბრჭყინავენ „მარგალიტები“ ქრისტეს სწავლისა;  
მაგრამ ბევრი ხალხი არ აქცევს იმათ ყურად-  
ღებას. მხოლოდ მწყემსები, თავის თანამდებობის  
გამო, ხან და ხან მოაგონებენ ხოლმე ხალხს,

რომ მას არ შეუძლიან გავლა აღელვებული  
ცხოვრების მოლიპული გზისა უიმ-ნალოთ, რომელ-  
საც იგი ასე ჯიუტად არ იღებს და ჰფიქრობს იპო-  
ვოს სიმშვიდე სულისა ცხოვრების უსულო ფორ-  
მებში...

წარსული ცხოვრების ნაგავში და ძველი ავე-  
ჯეულობის ნაგროვში ისტორიკოსი ხიხინით ჰქე-  
ქავს და როდესაც შეხვდება გზაზე „საუკუნო  
ცხოვრების იდეალებს“, პირი-სახის ღმენჭით და  
გრებით მიდის საბრძოლველად ქრისტეს წინააღმ-  
დეგ. რენანები, შტრაუსები, ბიუხნერები, ბოკლები  
და იმათი თანამოაზრეები ბოროტებით ლაღადებენ  
წინააღმდეგ ღმერთ-კაცისა. იგი-კი მოთმინებით  
უცდის:ხალხის გონებაში როდის გაუღებენ მას კა-  
რებს სიმშვიდე და სიწყნარე სულისა, რომ იგი  
დასახლდეს იქ და ნამდვილად დაამყაროს სიმშვი-  
დე სულისა.

ქრისტიანო! იმ შეურაცხყოფისათვის, რომე-  
ლიც მიაყენა „ახალმა“ ქვეყანამ დაუფასებელ მარ-  
გალიტს ქრისტე მაცხოვრისას, შენ გულით შეს-  
წუხდი, და თუ შეგიძლიან ყველას უთხარი, რომ  
ქრისტეს გარეშე არავის ცხოვნება არ შეუძლიან.  
მაგრამ ამასთან იცოდე, რომ განურჩევლად ყველას  
არ უნდა დაუბნია ეს მარგალიტი, იმისთვის რომ  
შეიძლება ღორებს მოხვდეს ფეხ ქვეშ, .. და რომ  
შენ თითონ არ შესცდე იმათი თავხედი ლაპარაკით,  
მტკიცედ უნდა გახსოვდეს: მარგალიტის მარცვა-  
ლი მხოლოდ მამალს ეჩვენა ნაგვად, როდესაც იგი  
ნაგავში ეძებდა ქერის მარცვალს. იმისათვის-კი,  
ვინც გაიგო აზრი ქვეყნიერების ნაგვისა და მის  
ამაო დაუდგრომელობისა, ვინც გაიგო ფასი საუკუ-  
ნო ცხოვრებისა, ვინც „ხატება და მსგავსება ღვ-  
თისა“ არ დაკარგა, იმისათვის ძველებურად მარგა-  
ლიტი და მარცვალი ქრისტიანობრივი ცხოვრებისა  
უძვირფასესია ოქროზე და ვერცხლზე..

პოპულარიზაციის წყალობა





### სწავლა-განათლების საქმე კავკასიაში

ეხლახან გამოვიდა ჩვეულებრივი წლიური ანგარიში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, რომელიც ბევრ მასალას გვაწვდის ჩვენს მხარეში დაბალ და საშუალო სწავლების საქმის მდგომარეობის შესახებ.

1907 წლის (საანგარიშო წლის) დასასრულ კავკასიის სამოსწავლო ოლქში (ჩრდილოეთ და ამიერ-კავკასიაში) ყოფილა: საშუალო სავაჟო გიმნაზია—25, ქალთა გიმნაზია—45, რეალური სასწავლებელი—16, საოსტატო სემინარია და ინსტიტუტი—6, საქალაქო სასწავლებელი—74, პირველ დაწყებითი სავაჟო სკოლა—665, პირველ დაწყებითი ქალთა სკოლა—278, ტექნიკური დბ სამრეწველო სკოლა—22 ქალთა საპროფესიო სკოლა—7, კერძო სასწავლებელი—54, ებრაელთა სკოლა—8, სულ საშუალო და დაბალი სასწავლებელი ყოფილა—1515, რომელთა შიგნით სწავლობდა 237.819 ახალგაზდა.

საკუთრივ სავაჟო გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების შესახებ მოგვყავს შემდეგი ცნობები: 25 სავაჟო გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში სულ ყოფილა 10,881 ვაჟი და 21 ქალი (ქალები ყოფილან სოჩის სავაჟო პროგიმნაზიაში). ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი გიმნაზია ყოფილა ბაქოსი (1442 ყმაწვილი), მერე ტფილისისა 1-ლი (1197), ქუთაისისა—698, ტფილისისა მე-2 (695); ყველაზედ უფრო ნაკლები მოსწავლე ყოფილა ფოთის პროგიმნაზიაში (129), რომელშიაც ჯერ მხოლოდ სამი კლასია გახსნილი. ვაჟ-გიმნაზიელთა განაწილება ეროვნებად და წოდებად შემდეგ ცნობებს გვაწვდის: რუსი ყოფილა 41%, სომეხი—26%, ქართველი—17%, თათარი—5%, დანარჩენი სხვა და სხვა ერი. ყველაზე მეტი მოქალაქე ყოფილა (3361 ყმაწვილი), ამათ მიზღვევენ გლეხები (1430), მერე ვაჭრები (1167), შემდეგ თავად აზნაურნი (772), ყველა გიმნაზიების მერვე კლასებში საანგარიშო წელს ყოფილა 612 მოწათე, რომელთაგან კურსი დაუსრულებია და სიმწიფის. ატესტატი მიუღია 270 კაცს (თითქმის 69%).

აღნიშულ 25 გიმნაზიაზე საანგარიშო წელს დახარჯულა 1,200,000 მანეთზე მეტი. თითო მოწათეს სწავლება. შუათანა აღრიცხვით, ჯდება 127

მანათი 94 კაპ. გიმნაზიებში და 90 მან. 8 კაპ. პროგიმნაზიებში. ყველაზე მეტი სწავლება ჯდება ტფ. 3-მე გიმნაზიაში (170 მან. 10 კაპ.) და სოჩის პროგიმნაზიაში (181 მან. 10 კ.).

ქალთა საშუალო სასწავლებლებში საანგარიშო წელს ყოფილა 16,649 მოსწავლე, ე. ი., 5747 მოსწავლით მეტი, ვიდრე ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში, ყველაზედ უფრო მრავალ რიცხოვანი ყოფილა ქალთა ტფ. მე-2 გიმნაზია (1021). ყველაზე ნაკლები ყოფილა თემირ-ხან-შურის პროგიმნაზიაში (161). ეროვნების მხრით ქალი მოწათენი ასე არიან განაწილებულნი: რუსი—52%, ქართველი—2988 მოსწავლე-ქალი, სომეხი—2884, ებრაელი—838 და თათარი—84. წოდების მხრით იმავე გრადაციას ვხედავთ, როგორც ვაჟთა შესახებ. ჯერ მოქალაქეთა შვილნი, მერე თავად-აზნაურობისა.

პირველ დაწყებით სკოლების მოწათეთა საერთო რიცხვიდან (206.160) ქალი ყოფილა 55.201; აქედან რუსი 64% ქართველი—16% და სომეხი 8%.

### რენანის აზრი სახარების შესახებ.

რენანს „საბუთებიც“ მოჰყავს დასამტკიცებლად მისა, რომ ლუკას სახარება მოკლებულია ღირსებას. „იესო ქრისტეს ზოგიერთა წარმონათქვამები (ლუკას სახარებაში) გადასხვაფერებულია და უკიდურესობამდე მიყვანილი“. ამის დასამოწმებლად შენიშვნაში სტრიქონ ქვეშ რენანი გვიჩვენებს ლუკას სახარებიდან თ. 14, მუხლი 25; ამ თავში და მუხლში სწერია: რამეღი მოგაღს ჩემდა და არა მოიძულას მამა თვისი, და ცოლი, და შვილნი, და ძმანი, და დანი, და მერმე კვლავ სუღიცა თვისი, ვერ ხელწიფების მწაფე უფთად ჩემდა. ამ სიტყვებში, თანახმად წმ. მამათა განმარტებისა, ის აზრია, რომ ქრისტეს მოძღვრების ერთგულს მქადაგებელს წარმართთა შორის მოეღის დიდი განსაცდელი და შეწუხება; ამიტომ ვისაც სურს იყოს ქვეშარტი და ერთგული მოციქული ქრისტესი, მას მოეთხოვება ფრიადი მსხვერპლი და თავის განწირვა. მან ამ საქმეს უნდა ანაცვალოს ყოველივე თვისი ხორციელი მახლობელი და სიცოცხლეც. რენანი ამ



სიტყვებში რაღაცა გადასხვაფერებას და გაზვიადებას უკიჟინებს ლუკა მახარებელს, მაგრამ ამა გადავშალოთ მათეს სახარება თ. 10, მუხ. 37,38, აქ აი რა სწერია: რომელსა უუვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს, და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. როგორცა სჩანს, მათე მახარებელი იმავე სიტყვებს ხმარობს და იმავე აზრს გამოსთქვამს, როგორც ლუკა. თანახმად მათეს სიტყვებისა ვისაც სურს იყოს ჭემმარიტი მოციქული ქრისტესი უნდა ანაცვალოს მას დედაც, მამაც, ძმაც და დაც; განა ლუკაც იმასვე არ ამოხსნის? სამოციქულო დარიგებანი (წესები) ლუკას სახარებაში (თ. 10) ნამეტნავად გაზვიადებულიაო. აი რა სწერია ლუკას სახარების 10 თავში: სმკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მტრედ; ევედრებით უკვე უფალსა სმკალისასა, რათა მოაფლინეს მუშაკნი სმკალსა თვისსა. წარვედით; აჰა ესერა მიგაფლინებ თქვენ, ვითარცა კრავთა შორის მკელთა; ნუ წარგაქვენ პალანტი, ნურცა ვაშკარანი, ნურცა შესუსხმელი ფერხთა, და ნურცა ვის გზასა ზედა მოიკითხვთ. და რომელსაცა სხლსა შეხვიდეთ, ზირველად სთქვით: მშვიდობა სხლსა ამას. და უკეთუ იყოს მუნ ძე მშვიდობისა, განისვენოს მასზედა მშვიდობამან თქვენმან; უკეთუ არა, თქვენდავე მთიქცეს. მასვე სხლსა შინა იევენით. სტამდით და სვემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასუიდელისა თვისისა; ნუ მიხვალთ სახლითი სხლად. და რომელსა ქალაქს შეხვიდეთ და შეგიწუნანნენ თქვენ, სტამდით წინა დაგებულსა თქვენსა. და განჭკურნებდით მას შინა უძღურთა და ეტყოდით მათ: მოახლოებულ არს თქვენზედა სასუთეველი ღმრთისა. და რომელსა ქალაქსა შეხვიდეთ, და არა შეგიწუნანნენ თქვენ, გამოხვიდდეთ უბანსა მისთა, არქვთ მათ: აჰა ესერა მტვერი, რომელ აღეკრას ფერხთა ჩვენთა ქალაქისაგან თქვენისა, განვიყარეთ თქვენზედა; გარნა ესემცა უწიოთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუთეველი ღმრთისა. გეტყვი თქვენ: სოლომონსა უმოდხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის. ვაი შენდა, ქარაზინ, და ვაი შენდა, ბუთსაიდა, რამეთუ ტვირხის და სიდონს თუმცა იქმნეს ძაღნი, რომელ იქმნეს თქვენს შორის, ზირველვე მცა ძაძითა და ნაცარსა ზედა შეინანეს. ხოლო ტვირხის და სიდონი უმოდხინეს იყოს სასჯელსა მას, ვიდრე თქვენ. და შენ, კაპერნაუმი, ნურცადმდე ამადღებობი, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთანდე. რომელმან თქვენი

ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქვენ შეურაცხუნეს მე შეურაცხმეთოს; და რომელმან მე შეურაცხმეთოს, შეურაცხმეთოს მომაფლინებულს ჩემსა. (2-16)

ამ ზემო აღმოწერილს მოთხრობას, რენანის აზრით აქვე განსაკუთრებითი ხასიათი გაზვიადებისა. დაუგდოთ ეხლა ყური წმ. მათე მახარებელს, ის როგორღა ამოხსნის იმავე საგნის შესახებ. სმკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მტრედ; ევედრებით უფალსა სმკალისასა, რათა გამოაფლინოს მკმედნი სმკალსა თვისსა, და მოუწოდა ათორმეტთა მწაფეთა თვისთა და მისცა მათ ზელმწიფება სულთა ზედა არა წმიდათა, რათა განასხმიდენ მათ და განაკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძღურებთა. გზასა წარმართთასა ნუ მიხვალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხვალთ, არამედ მივედით უფროს ხოლო ცხოვართა მათ წარწემედულთა სხლსა ისრაითისთა. და მარახვიდეთ ქალაქებდით და იტყოდეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუთეველი ცათა. უძღურთა განჭკურნებდით, მკვდართა აღადგინებდით, კეთრფანთა განსწმედდით, ეს. მკათა განასხმიდით, უსასუიდელოდ მისცემდით. ნუ მოიკებთ მტრისა, ნურცა ვეცხლსა, ნურცა რვალთა სარტველთა თქვენთა, ნურცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნურცა ორსა სამოქელსა, ნურცა ხამლთა, ნურცა კვერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასუიდელისა თვისისა. რომელსა ქალაქსა, ანუ დაბასა შეხვიდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით, ვიდრე გამოხვიდდემდე. და შეარახვიდდეთ სხლსა მას, მოიკითხეთ იგი და მტრეთ: მშვიდობა სხლსა ამას. და უკეთუ სხლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშვიდობა თქვენი მასზედა; უკეთუ არა ღირს იყოს, მშვიდობა თქვენი თქვენდავე მოიქცინ. და უკეთუ არავინ შეგიწუნანნეს თქვენ, და არცა ისმინეს თქვენნი, გამოარახვიდდეთ მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტვერი ფერხთა თქვენთა, ამინ გეტყვი თქვენ, უმოდხინეს იყოს ქვეყანა იგი სოლომონისა და გომორისა დღესა მას სასჯელესასა, ვიდრე ქალაქი იგი. აჰა მე მოგაფლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა შორის მკელთა; იყვენით უკვე მუცნიერი ვითარცა კველნი და უმანკო, ვითარცა ტრედნი. (თ. 9,38;10,1-16. შეადარე, მკითხველო, ეს ამონაწერები მათეს და ლუკას სახარებიდან; სად არის აქ ლუკას მოთხრობაში განსაკუთრებითი განდიდება და გაზვიადება?

რენანის აზრით, სახარება ლუკასი დაწერილია იერუსალიმის კარებით შემოზღულდვის შემდეგ. ამის



დასამტკიცებლად, რენანი გვიჩვენებს ლუკას სახარებიდან 19,11,43—44;21,9,20;23,29; ამ ადგილებში ლუკა მახარებელი გადმოგვცემს იესო ქრისტეს წინასწარმეტყველებას იერუსალიმის ახორების შესახებ: მოწაფეებს ურჩევს გაქცევას, როცა იგინი დაინახვენ იერუსალიმს მტერთაგან შემოზღუდულად; წინასწარმეტყველებს ურიასტანის მომავალს უბედურების შესახებ. გამოდის, რენანის აზრით, რომ ლუკამ დასწერა თავისი სახარება ამ წინასწარმეტყველებათა აღსრულების შემდეგ. მახარებლები მათეც (24,2,16) და მარკოზიც (13,2,14), რომლებმაც თვით რენანისავე აზრით ლუკაზე ადრე რასწერეს თავისი სახარებები, რომლებსაც რენანი უფრო მაღლა აყენებს ლუკას სახარებაზე, გადმოგვცემენ იმავე წინასწარმეტყველებას, რომელსაც ლუკა. მაშ როგორ გამოიყენა ჩვენმა ბატონმა სწავლულმა ეს წინასწარმეტყველება იმის დასამტკიცებლად, რომ ლუკამ დასწერა სახარება მათის აღსრულების შემდეგ?

რენანი ამბობს, რომ ლუკა მახარებელს არა აქვს მართალი და წესიერი წარმოდგენა ტაძარზე. დასამტკიცებლად ამისა რენანს მოყავს მოთხრობა ლუკას სახარებიდან ანნა წინასწარმეტყველზე, რომელიც განუშორებლივ იყო იერუსალიმის ტაძართან ლოცულობდა და მარხულობდა. აგრეთვე ისიც, რომ მეზვერე და ფარისეველი აქ ლოცულობდნენ და კიდევ ის, რომ მოციქულები ქრისტეს ამალგების შემდეგ იკრიბებოდნენ სალოცავად იერუსალიმის ტაძარში; თუ ტაძარში სალოცავად შესვლის აღწერა არ არის წესიერი წარმოდგენა ტაძარზე გამოდის, რომ მაშინ ხალხი სალოცავად არ უნდა შეგროვილიყო; მაშ რა უნდა ეკეთებინათ ტაძარში თუ არ ელოცნათ; ტაძარი იერუსალიმისა ყოველთვის ითვლებოდა ღვთის სახლად, სამლოცველო ადგილად; ამას ამოწმებს მთელი ძველი აღთქმა, რომელიც, უეჭველია, ცოტათი მაინც უნდა სცოდნოდა ბ. რენანს.

კვალად სდებს რენანი ლუკა მახარებელს ბრალს: ლუკა მახარებელი აზვიადებს მოთხრობებში სასწაულებრივს მხარესაო. “ საბუთები — თ. 4,14; თ. 22,43—44. პირველს ადგილში 4,14 სწერია: მოიქცა იესო ძაჯითა სუჯისა წმიდისათა გაჯიჯად და ამბავი განხდა მისთვის ყოველსა მსს კაქემო სოფლებსა. ამავე ფაქტის გადმოცემაში მათე და მარკოზ

მახარებლებს არა აქვთ ნახმარი სიტყვები ძაჯითა სუჯისა წმიდისათა; მაგრამ ისიც ვიქონიოთ სახეში, რომ მათე და მარკოზიც ბევრს სასწაულებს აღწერენ სახარებებში და ყოველსავე მათგან ნაამბობს ფაქტში გვხვდება სასწაულები და რაღა მარტო ლუკა მახარებელს უნდა უკეთინოთ სასწაულებრივი მხრის გაზვიადება და გადიდება მხოლოდ ორი სიტყვის—ძალითა სულისა წმიდისათა—გულისთვის?

მეორე ადგილს თ. 22,43—44 მოთხრობილია ანგელოზის გამოცხადება გეთსამანიის ბაღში ლოცვის დროს; ეს ამბავი არ არის არც მათეს და არც მარკოზის სახარებებში და ამიტომ ჰგონია რენანს გაზვიადებად, მაგრამ ის კი ავიწყდება იმ კაი კაცს, რომ პირველს ორს სახარებებშიაც არის მოთხრობილი, რომ ანგელოზები მსახურებდნენ იესოს (მათე 4,11; მარკ. 1,13). ესეც ხომ იმგვარივე სასწაულებრივი ფაქტია. საიდან გამოვა რომ ლუკა,—მოგვითხრობს რა ერთს შემთხვევაში ანგელოზის მსახურების ფაქტს აზვიადებს სასწაულებრივს მხარეს, როცა პირველს ცრს სახარებაში იგივე ფაქტი ანგელოზების მსახურებისა მოთხრობილია მეორე შემთხვევაში.

არც მეოთხე სახარებასა სცნობს რენანი ნამდვილად, ამასაც ყალბს უწოდებს. თავის აზრს რენანი ასაბუთებს მითი, რომ ჩვენს მეოთხე სახარებას არ იხსენებენ თავიანთ ნაწერებში არც პაპი, იერაპოლის ეპისკოპოზი და არც პოლიკარბე, სმირნის ეპისკოპოზი, დაახლოვებული მოწაფე იოანე მოციქულისა. ხოლო რაკი ეს წმიდა მამები არ იხსენებენ ამ სახარებას, მაშასადამე იგი მათს დროში არა ყოფილა ცნობილიო, დასკვნის რენანი.—მაგრამ წმ. პაპის ნაწერებმა სავსებით ვერ მოაღწიეს ჩვენამდე, ზოგიერთა მისი თხუხულებიდან ამონაწერებში, რომლებსაც იხსენებს ევსევი კესარიელი, მართლა არაფერია ნათქვამი იოანეს სახარების შესახებ; არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ წმ. პაპიმ არ იცოდა იოანეს სახარება მხოლოდ მიტომ, რომ ევსევისგან დაცულს ამონაწერებში არ არის იგი მოხსენებული.

რაც შეეხება პოლიკარბე სმირნელის ეპისტოლეს ფილიპელთა მიმართ, რომელზედაც გვითითებს რენანი, რომ იმაში არ არის მოხსენებული იოანეს სახარებაო, ამაზე უნდა ვთქვათ, რომ თვით



შინაარსი ამ ეპისტოლესი არ მოითხოვს, რომ უთუოდ საჭირო ყოფილიყოს იოანეს სახერების მოხსენება მისგან; ამ რიგად, წმ. პოლიკარპეს დუმილი იოანეს სახარების შესახებ არ ამტკიცებს იმას, რომ მან არ იცოდა ამ სახარების არსებობა. ბევრი უძველესი მწერლები ქრისტიანეთა ამოწმებენ იოანეს სახარების სინამდვილეს და იხსენებენ მას, როგორც წმ. მოციქულის დაწერილს, მაგ. ეგნატე ღმერთ შემოსილი, მოციქული ბარნაბა, კლიმენტი ალექსანდრიელი; აპოლინარი, ათინაგორი, ტატიანე, თეოფილე ანტიოქიელი სცნობენ მეოთხე სახარებას იოანე მოციქულის დაწერილად, იმოწმებენ მას მწვალებელთა მხილების დროს, როგორც სარწმუნოების „ქვაკუთხედს“ და მათ არავინ ეწინააღმდეგება, სწყვეტენ ამ სახარების საფუძველზე სხვა და სხვა საკითხებს. წმ. ირინეოსი, ლიონის ეპისკოპოზი, მოწაფე იოანე მოციქულს მეგობრის პოლიკარპესი, უეჭვოდ აკუთნებს მეოთხე სახარებას იოანე მახარებელს.

თუმცა რენანს ყველა ეს უნდა სცოდნოდა. მაგრამ აუხვია ამას მხარე და ახალი შინაგანი საბუთები მოყავს იოანეს სახარების სიყალბის დასამტკიცებლად. ეს შინაგანი საბუთები მას ამოღებული აქვს თვით სახარებიდან. რენანი ამოხსნის იოანეს მოჰყავს იმ გვარი საუბრები მაცხოვრისა, რომლის მსგავსიც პირველს სამს სახარებაში არაფერი არ მოიპოვებაო, მაგ., სამს სახარებაში იესოს საუბრები მეტწილად მოყვანილია იგავების ფორმით, იოანეს სახარებაში კი იგავები სულ არ მოიპოვება; თანახმად, იოანეს სახარებისა, იესოს და მსმენელთ შორის იმართება დავა, კამათი, პირველს სამს სახარებაში კი, ხალხი გამოყვანილია მდუმარე მსმენელად მაცხოვრის ქადაგებათა; თვით შინაარსითაც განირჩევიან იესოს ქადაგებანი პირველს სამს და იოანეს სახარებაში; ენაც ქადაგებათა დიდათ განირჩევა, მაგ. სიტყვები, სოფელი, ცხოვრება, ნათელი, ბნელი, ჭეშმარიტება სულ უცნობია სხვა მახარელთათვის. თუ იესო ლაპარაკობდა ისე, როგორც აქვს მისი სიტყვები მოყვანილი მათეს, მაშინ მას აღარ შეეძლო ელაპარაკნა ისე, როგორც იოანე გადმოგვცემს მისს სიტყვებს, დასძინს რენანი.

## უძველად უსამღვდელოების იმეგობრის მის- ქოპოსის გიორგის ზოგადანება დაბა ჭიათუ- რაში და ჭიათურის მოგაგალი ეპისკოპოსის ალექსანდრის საჩხე.

ჭიათურის ძირითადი მკვიდრი მცხოვრებნი აღრიდგანვე ზედარგნის მთავარ ანგელოზის შტატის ეკლესიის სამრევლოს შეადგენენ. თვით სოფელი ზედარგანი ზედ მობმულია დაბა ჭიათურაზე ჩრდილოეთის მხრით, მაგრამ ცალკე რომ ავიღოთ ეს სოფელი, მეტად პატარა და უკიდურესად გალარბებულთა; ზედა რგანში მხოლოდ სამოციკომლი სცხოვრობს, მათში მხოლოდ მეთედ ნაწილს, ესე იგი, ექვსს კომლს შეუძლიან ცხოვრება და დანარჩენები კი მეტის-მეტად გაჭირვებულნი არიან. მკითხველს გაუკვირდება თუ რატომ მოხდა ეს, რომ მცხოვრებნი დაღარბებულნი იქ, სადაც შავი ქვის მადნის აურაცხელი სიმდირე სძევს. აი მიზეზსაც მოგახსენებთ: მეოთხმოცე წლებში თავდაპირველად ზედარგანში გაიხსნა შავი ქვის წარმოება, ამიტომაც სხვა სამრევლო სოფლებზე ზედარგანი უმაღლ დაზარალდა; შავი ქვის წარმოებამ სოფელი ზედარგანი მეტად გაანადგურა და ააოხრა, — უიმისოდაც უნაყოფოს და მკირე სახნავ-სათესს მიწებს ქვეშ ნიადაგი გამოეცალათ, ადგილები დაიქცენ, ნაშრალეები და სახლკარი თავის სამოსახლოებით ზოგი უკვე დაიქცენ, ზოგი კი დღესაც იმგვრევიან, წყლები დაშრენ, ტყეები, ვენახები და საბალახოები მთლად ახმენ და მოისპენ, აღარასფერი კირნახული აღარ მოდის და აღარავითარი საშუალება და სახსარი ცხოვრებისათვის ზედარგნელებს აღარ აქვსთ; შავი ქვის მადანიც თითქმის გამოილია და რაც არის, იმასაც გასაფალი და ფასი აღარა აქვს, — და ამიტომაც ზოგი მათგანი სხვა გარეშე სოფლებში გადავიდენ საცხოვრებლად და ზოგიც ეხლა თან და თანობით მიდიან, ამიტომაც სასულიერო მთავრობამ მთელი დაბა ჭიათურის დროებით მცხოვრებნი და მართლ მადიდებელი საზოგადოება ზედარგნის სამრევლოს მიაწერა და ამ ნაირად ზედარგნის კრებული როგორც არის დაბა ჭიათურის საშუალებით არსებობს და ირჩენს თავს.

დაბა ჭიათურაში თითქმის ყოველგვარი დაწესებულება გვაქვსთ, მხოლოდ არა გვაქვსთ ჭიათუ-



რისთვის საკუთარი ეკლესია, რაც ყოველისთვის უსაჭიროესია ქრისტიანულს ცხოვრებაში; და ამიტომაც კიათურლები მოკლებულნი არიან წირვალოცვას და იმ სულიერს საზრდოს, რასაც ქრისტეს წმიდა ეკლესია იძლევა თითოეული ჩვენგანისათვის. მართალია დაბა კიათურა მიწერილია ზედარგნის ეკლესიაზე, მაგრამ ხსენებული დაბა წარმოადგენს სამრევლო რაიონს, სადაც უმეტესს ნაწილად შავი ქვის მრევლნი და მოვაჭრეები სცხოვრობენ, რომელიც დაბას გარეშე წირვალოცვა საარული არ ეხერხებათ და ამიტომაც კიათურისთვის საჭიროა საკუთარი ეკლესია თვით კიათურაში და არა კიათურის გარეშე, რისთვისაც 1901—1902 წლებში კიათურლებმა გამოიწყეს მშენებელი პლანის ქვიტკირის ეკლესია, შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭომაც 5,000 მანეთი ერთ უმიერად გადასტო ეკლესიის აღსაშენებლად; ეკლესიაც ნამდვილ საშუალო ადგილზე იყო გამოწყებული, მაგრამ, რადგანაც მდინარის მხრით დამბები არ წქონდა გაკეთებული საეკლესიო ადგილები წყალმა წალეკა, ნაშრომი წახდა და ხუთი ათასი მანეთიც უთავბოლოდ გაიფანტა. ამნაირად დღემდის ეკლესიის საქმე შეჩერებულია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს დღეობით კიათურაში შავი ქვის წარმოება შეჩერებულია და საზოგადოებაც დიდ კრიზისს, უფულობას და გაჭირვებას განიცდის, აქაურმა პატივცემულმა საზოგადოებამ ხელახლა განიზრახა ეკლესიის აღშენება, რისთვისაც ამა წლის 16 ივნისს კრება მოხდა ადგილობრივი ტეატრის დარბაზში ადგილობრივი ბლადოჩინის — დეკანოზის მამა აბესალომ ტყემალაძის და სამრევლო ბოქაულის ბიქტორ ალექსანდრეს-ძის ჩუმაკოვის თანადასწრებით. ბევრი თათბირის შემდეგ კრებამ ერთხმად გადაწყვიტა: გამოითხოვოს ადგილობრივი მღვდელ-მთავრის ნებართვა და ლოცვა-კურთხევა და სამი წლის ვადაში აღშენდეს ხის ეკლესია შუა გულ ბაზარში ისთვე იმ ადგილზე და იმ საძირკველზე, სადაც 1901—1902 წლებში იყო გამოწყებული, განაჩენიც დადგა და ეკლესიის აღმშენებელი კომიტეტიც აირჩია. კომიტეტში, სხვათა შორის, დანიშნულია კარგად ცნობილი და ეკლესიის აღშენების საქმეში მოღვაწე და ქველმოქმედი გედევან ზურაბის-ძე ჩუბინიძე, რომელმანაც აღაშენა თავის ფულით

დაბა ყვირილის წმდათა მოწამეთა — არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს ეკლესია. მოიმედე ვართ კიათურლები, რომ ბატონი გედევან ჩუბინიძე ამ საქმეს ჩვეულებრივს ენერგიით წაუძღვება წინ და ადგილობრივი საზოგადოების დახმარებით კიდევ დააგვირგვინებს ამ წმიდა საქმეს. გედევან ზურაბის-ძემ ძალიან კარგად იცის, რომ ქრისტეს წმიდა ეკლესია არის ერთად ერთი ქრისტიანთა მანუგეშებელი დაწესებულება, ეკლესიაა სულიერი მასაზრდოებელი და დაუშრეტელი ლამპარია, რომელიც გვინათებს და გვიწოდებს გზას საუკუნო ცხოვრებისაკენ. ღმერთო მაღალო! წმიდა ყვენ მოყვარენი სახლისა შენისა მშვენებერებისანი.

21-ს ივნისს დღით შაბბთს დაბა კიათურაში მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი გიორგი საქველეთუნის ეკლესიის საკურთხებლად — თაბაგრებში; ეკლესიის კურთხევის შემდეგ ყოვლად სამღვდლო ორი დღე დარჩა კიათურაში, მისმა მეუფებამ ინახულა საზოგადოებისაგან აღრჩეული საეკლესიო ადგილი. 24 ივნისს ყოვლად სამღვდლომ ინება ხალხთან მოლაპარაკება ეკლესიის შესახებ, მოლაპარაკების შემდეგ კიათურის საზოგადოებას აღუთქვა თავის მხრით შესაფერისი დახმარება და ლოცვა-კურთხევით ნება რთვა იმავე ადგილზედ ეკლესიის აღშენებისთვის და კიდევ მოეწონა საეკლესიო ადგილი იმ პირობით, რომ საეკლესიო ადგილი მდინარის მხრით წინდაწინ უნდა შემოიზღუდოს და გამაგრდეს მაგარი კედლებით და დამბით, რომ გიჟმა მდინარე ყვირილამ ჩვეულებრივად აღარ წალეკოს საეკლესიო ადგილი. ერთმა კომიტეტის მწევრთაგანმა ზედარგნის სამრევლოში მცხოვრებმა — შავი ქვის მწარმოებელმა გიგია თევოდორეს-ძე ბრეგვაძემ წერილობითი განუცხადა ყოვლად უსამღვდელოეს გიორგის, რომ იგი — ბრეგვაძე თავისს მხრით ხუთასს მანეთს (500 მან.) შესწირავს კიათურის აღსაშენებელი ეკლესიის საქმეს. ყოვლად სამღვდლომ მწყემს-მთავრული დარიგება და ლოცვა-კურთხევა უბოძა საზოგადოებას და იმავე დღეს — 24 ივნისს წაბრძანდა ქ. ქუთაისს.

მღვ. ბ. ვაშაძე.



### რევოლიუციის გამარჯვება მსმალთში.

#### კონსტიტუციის გამოცხადება.

10 ივლისს სალონიკში ქალაქის დიდ მოედანზე რევოლიუციონერებმა გამართეს მიტინგები. ახალგაზდა ოსმალთა პარტიის ორატორებმა სიტყვები წარმოსთქვეს სხვა და სხვა ადგილობრივ ენაზე და ხალხს მოუწოდეს, დახმარება გაუწიეთ კონსტიტუციონურ წესწყობილებს, თანასწორობის და თავისუფლების დამყარებასაო. ხალხი ალტაცებით ტაშს უკრავდა ორატორებს. დამსწრე პოლიციელები და ჟანდარმები ხელს არ უშლიდნენ რევოლიუციონერებს. უსკუბიდან, კებრულიდან, იშტარიბიდან და ხენსიდან მიიღეს ამნაირივე ცნობები. ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობაზე ქალ. გევგეთში, სალონიკის ვილაეთში, მთავრობის ძალა ხელში ჩაიგდეს უფროსმა აფიცრებმა. კაიმაკამი (მაზრის უფროსი), ადმინისტრაციულ საბჭოს წევრები და ჟანდარმთა როტის უფროსი რევოლიუციონერებმა მიიწვიეს კონსკში (მაზრის სამმართველოში) და ფიცი მიიღებინეს ახალგაზდა ოსმალთა პროგრამის ერთგულებაზე. ჯარის პატრულები აფიცრების მეთაურობით დადიოდნენ ქალაქსა და მის მიდამოებში და პროკლამაციებს არიგებდნენ. ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წინადადებით ქრისტიანების წარმომადგენლებმა ეკკლესიებში წაიკითხეს პროკლამაციები. მოედნის და კირაჯ-აბადის კაზებშიაც იგივე მოხდა. სალონიკსა და მონასტირს შუა ტელეგრაფი არ მოქმედობს. ელასონში მოჰკლეს კაიმაკამი, რადგან იგი არ მიეგზრო მოძრაობას.

რევოლუციის გამარჯვება ოსმალეთში. ქალ. უსკუბში აჯანყდა ოსმალეთის ჯარი, გადააყენა დივიზიის უფროსი და მის ბაღდად სხვა აირჩია. ჯარმა დაიჭირა ყველა სახელმწიფო შენობა. კოსოვოს გუბერნატორმა გამოაცხადა, ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობის მომხრე ვარო. დიდძალი ალბანელი მოვიდა უსკუბში. აჯანყებულმა ოსმალელმა ჯარის კაცებმა მოჰკლეს სანჯაკის (ოლქის) უფროსი.

რესნიდან ქალ. მონასტირში მაიორ ნიაზიბების მეთაურობით, მოვიდნენ ახალგაზდა ოსმალელები, ათას კაცზე მეტნი, 9 ივლისს ღამით დაატყვევეს მარშალი ოსმან-ფაშა, რომელიც რევოლიუციის დასათრგუნად იყო გამოგზავნილი, და რესნაში გაისტუმრეს. ქალ. მონასტირი ახალგაზდა

ოსმალთა ხელშია.

10 ივლისს დღისით ქალ. მონასტირში ახალგაზდა ოსმალეებმა მოახდინეს დიდი მანიფესტაცია და გამოაცხადეს კონსტიტუცია. რევოლიუციონური ჯარი სამხედრო საღმით—ზარბაზნის სროლით მიეგება კონსტიტუციის გამოცხადებას. ამ დიდ საქმეში მონაწილეობა მიიღეს მოქალაქე ოსმალეებმა, ადგილობრივმა მეციხოვნე ჯარმა და მცირე აზიიდან მოსულმა ჯარმა. გუბერნატორი და მოხელეები თავიანთ თანამდებობაზე დარჩნენ. ახალგაზდა ოსმალეებმა საპატიმროდან გაანთავისუფლეს ათასზე მეტი ტუსადი. ქალაქში წესიერება არავის დაურღვევია, ძალმომრეობა არავის ჩაუდენია,

რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ სტამბოლიდან 11 ივლისის თარიღით. დღეს დღით ოსმალურ გაზეთებში გამოცხადებულია ოფიციალური ბრძანება, რომლის ძალით უნდა მოიწვიონ დეპუტატთა პალატა და მოახდინონ არჩევნები თანამად სულთანის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის.

ქალ. მიტროფიცაში მიიღეს სულთანის ირადი (ბრძანება) პარლამენტის დაწესების შესახებ.

11 ივლისს კონსტიტუციის გამოცხადებამ ალტაცებაში მოიყვანა ახალგაზდა ოსმალეები და საზოგადოთ მთელი ოსმალეთის ხალხი. პროვინციიდან მრავალ დეპუტატს ჰგზავნიან ილდიზ-კიოსკში და მადლობას უცხადებენ სულთანს. სტამბოლში ხალხი საღმით ეგებებოდა სელამლიკზე მიმავალს და იქიდან დაბრუნებულს ჯარს. სელამლიკი ჩვეულებურივად გაიმართა ოსმალურ გაზეთების რედაქციებსა და სტამბებზე გაშლილია დროშები. საღამოთი სტამბოლს გააჩირაღდნებენ. 12 ივლისს გამოაცხადებენ ამნისტიას პოლიტიკურ დამნაშავეებისათვის. ქალაქში წესიერება არავის დაურღვევია. (პ. დ. ს.)

ახალგაზდა ოსმალთა პარტიის ისტორია. ერთბაშად დაიქუხა ახალგაზდა ოსმალთა პარტიამ და თავის გასაოცარ მხნე, სწრაფ და მოხერხებულ რევოლიუციონურ მოქმედებით სამს კვირაზე ხონთქარი შესძრა ტახტზედ და ძალ და ძალ კონსტიტუცია დააწესებინა. პარტიამ გამოიჩინა დიდი მომზადება და გამოცდილება. ეს არც საკვირველია, რადგან ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობა გუშინდლიდან როდი დაიწყო, მას აქვს საკმაოდ გრძელი ისტორია.



განმათავისუფლებელი მოძრაობა და სულთა-  
ნის უზომო თვითპყრობელობის წინააღმდეგ ბრ-  
ძოლა ოსმალეთში დაიწყო 1848 წელს, ევროპაში  
მომხდარ რევოლუციების შემდეგ. გენერალმა  
ჰუსენმა, ჩამომავლობით ჩერქეზმა, შეადგინა წრე  
თავისუფლად მოაზრე ოსმალებისა, რომლებიც  
თვალყურს ადევნებდნენ ეპროპის ამბებს და ევ-  
როპის გაზეთებს კითხულობდნენ. მათ თავიანთ  
თავს დაარქვეს „ფედაიჯი“, ესე იგი „შეთქმულები“.  
უნდა შევნიშნოთ, რომ თვით მაშინდელი სულთა-  
ნი აბდულ-მეჯიდი-კი, მამა ეხლანდელი ფადი-  
შაჰისა, საჭიროდ სთვლიდა ოსმალეთის ადმინისტ-  
რაციულ წესების შეცვალს. 1858 წელს 14 აგვის-  
ტოს გამოცემულ ფირმანში აბდულ-მეჯიდი სწერ-  
და სხვათა შორის: „მეტის მეტად სამწუხარო ბო-  
როტ მოქმედება ჰსუფევს სახელმწიფო მმართვე-  
ლობაში ყველა ასპარეზზე უნდა დამყარებულ  
იქმნას წესრიგი. მინდა მაგალითი ვუჩვენო ყველას  
და პირველი ცვლილება ჩემს თავზედ მოვახდინო-  
ვო“. აბდულ-მეჯიდის სიკვდილის შემდეგ ტახტზე  
ავიდა მისი ძმა აბდულ-აზისი. მის მეფობაში ოსმა-  
ლეთის ფინანსიურმა გაჭირვებამ უკიდურესობამდე  
შიაღწია, რადგან აბდულ-აზისი იყო არა თუ მარ-  
ტო თავნება მტარვალი, იგი ამასთანავე იყო სა-  
შინელი მფლანგველი: ფინანსიურმა გაჭირვებამ  
გააძლიერა უკმაყოფილება; თანდათან იზდებოდა  
მთავრობის მოწინააღმდეგეთა რიცხვი. ოსმალელმა  
პატრიოტებმა დაარსეს გაზეთი „მუშბირ“-ი  
(„მოამბე“), რომელიც ახალგაზდა ოსმალთა მიმარ-  
თულებას ადგა. ამ პარტიის ყველაზე გამოჩენილ  
წევრად იმ დროს იყო დიდი ვზირი მიღხად-პაშა,  
მან შეადგინა კონსტიტუცია, რომელიც ოფიცია-  
ლურად გამოაცხადა ეხლანდელმა სულთანმა აბ-  
დულ-ჰამიდმა 1876 წელს დეკემბერში ტახტზე ასე-  
ლის დროს. 1877 წელს სულთანმა პარლა-  
მენტიც მოიწვია, მაგრამ მალე დაითხოვა იგი,  
ხოლო კონსტიტუციის. მოთავე მითხად-ფაშა და  
მისი მომხრეები შორეულ ადგილებში გადაჰკარგა.

მითხად-ფაშის გადასახლებისა და გარდაცვა-  
ლების შემდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობა  
შესუსტდა, მაგრამ ბოლო დროს იგი ისევ გაძ-  
ლიერდა. ახალგაზდა ოსმალებს მიემხრნენ ყველანი,  
ვინც-კი უკმაყოფილო იყო მთავრობის მოქმედე-  
ბით. მოძრაობის ეხლანდელ მეთაურთაგან ყველაზე

გამოჩენილები არიან იზმაილ-კემალი და ახმედ-  
რიზა. ორივე ნიჭიერი და თავგანწირული პოლი-  
ტიკური მოღვაწეა. ახმედ-რიზა არის დამფუძნებე-  
ლი და რედაქტორი ახალგაზდა ოსმალთა უმათავ-  
რეს გაზეთის „მემფერეთ“-ისა, რომელიც პარიზში  
გამოდის. ამას გარდა პარტია ხუთს სხვა გაზეთსა  
სცემს ევროპაში. პარტიას ბოლოს დროს მიემხრო  
ბევრი გამოჩენილი. ოსმალელი მოღვაწე, მათ შო-  
რის ბევრს დიდი თანამდებობა უქირავს როგორც  
სამოქალაქო, ისე სამხედრო სამსახურში.

ოსმალეთის ხალხიც თანაგრძნობით მოეკიდა  
პარტიის პროგრამასა და მოქმედებას და ბევრის  
მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში. წარსულ ზამ-  
თარს ხალხმა არზრუმსა და სხვა ქალაქებში ნამდ-  
ვილი რევოლუცია მოახდინა. მაგრამ ყველაზე  
მეტი ყურადღება პარტიამ ჯარს მიაქცია: თითქმის  
მთელი აფიცრობა და მრავალი ჯარის კაცი მოიხ-  
რო და ხონთქარს მისი უმათავრესი ბურჯი გამოა-  
ცალა... ამიტომ გაიმარჯვა ოსმალეთის რევო-  
ლუციამ ასე სწრაფად.

ვენური გაზეთი „ცაიტ“-ი სწერს: „ახალგაზ-  
და ოსმალთა მოძრაობას ყველა თანაგრძნობით  
უნდა მიეგებოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძ-  
რაობას ეროვნული ხასიათიც აქვს. ვინ იცის, იქ-  
ნება ევროპა ამას იქით იძულებული იყოს ანგა-  
რიში გაუწიოს ახალ ფაქტორს — ოსმალეთის აზრს“.

### კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ.

„პეტ. ტელ. სააგენტო“ იუწყება: სალონი-  
კიდან ცნობა მიიღეს, რომ ახალგაზდა ოსმალთა  
მოძრაობამ მიიღო ახალი მიმართულება: სულთანის  
წინააღმდეგ მკაცრ დემონსტრაციებს მართავენ და  
აშკარად ლაპარაკობენ აბდულ-ჰამიდის ტახტიდან  
გადაყენებაზე. სასულიერო პირნიც მიემხრნენ  
სამხედრო პირებს.

გენერალ-ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ და ადგი-  
ლობრივ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა ერთმა-  
ნეთთან შეთანხმებით მიიღეს ღონისძიება ქალ. სა-  
ლონიკში წესიერების დასაცველად.

სალონიკში ხილმი-ფაშამ დიდის ამბით გამო-  
აცხადა კონსტიტუცია.

ოსმალური და სხვა ადგილობრივი გაზეთები  
ალარ ემორჩილებიან ცენზურას, რადგან კონსტი-  
ტუციით ბეჭდვითი თავისუფლება გამოცხადებუ-



ლიო. პრესის კილო ზომიერია. გაზეთები დიდის პატივისცემით სწერენ სულთანზე აღტაცებით უცხადებენ მადლობას გონსტიტუციის გამოცხადებისთვის.

როცა სტამბოლში დიდმა ვეზირმა უცხოეთის წარმომადგენელნი მიიღო, მანიფესტანტები შედიოდნენ პორტაში (ოსმალეთის მთავრობის ბინა) და სალამს უძღვნიდნენ კონსტიტუციის აღდგენას. ორატორთა შორის იყო ოსმალელი ქალიც. დიდი ვეზირი არა ერთხელ გავიდა ხალხთან და დაჰპირდა, თქვენ მიერ გამოთქმულს მადლობას გადავსცემ სულთანსაო. ქვეყანა (ოსმალეთი) მშვიდობიანადაა. პროვინციიდან კარგი ცნობები მოდის. გაზეთების ცენზურა აღარ მოქმედებს. საზოგადოდ პოლიციის ზედამხედველობა ძლიერ შესუსტებულიაო.

ქაირიდან იუწყებიან: ოსმალეთის კონსტიტუციის აღდგენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეგვიპტეშიო, ქუჩებში და კრებებში ახალგაზდა ოსმალები ძმურად ეგებებიან სომხებს. არაბული პრესა ექვის თვალთ უცქერის ოსმალეთის კონსტიტუციას.

„ტიფ. ლ.“-ს ატყობინებენ ბათუმიდან: ტრაპეზონიდან მოსულებმა ამბავი მოიტანეს, რომ მთავრობის ჰეროლდები (მოამბეები) ქუჩებში ჰკითხულობენ ხონთქრის ირადეს (ბრძანებას), რომ კონსტიტუცია აღდგენილ იქმნას და ამიერიდან ნამდვილად იქნება განხორციელებულიო.

ოსმალეთის კონსტიტუცია. სულთანმა აღადგინა ძველი, 1876 წლის კონსტიტუცია, რომელიც დღემდე არ იყო იურიდიულად (კანონით) გაუქმებული, თუმცა ფაქტიურად იგი ერთს წელიწადზე ნაკლებს არსებობდა, ამ კონსტიტუციის შინაარსი და ისტორია მოკლედ ამნაირია.

1876 წელს ივნისში რეფორმების პარტიის მეთაური მითხად-ფაშა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა მაშინდელმა სულთანმა მურადმა. მითხად-ფაშამ დაუყონებლივ წარუდგინა განსახილველად მინისტრთა საბჭოს კონსტიტუციის პროექტი, რომლის ძირითად მუხლს შეადგენდა წოდებათა და ეროვნებათა თანასწორობა. მინისტრთა საბჭომ მდგარი წინააღმდეგობა გაუწია პროექტს და შესამჩნევად შესცვალა იგი. 19 ივლისს შეცვლილი პროექტი „პრინციპიალურად“ მოიწონა პარტის დიდმა საბჭომ, მაგრამ სწორედ ამავე


დროს სოფტებმა (უმადლეს სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებმა) მეტად მკაცრი პროტესტი გამოუცხადეს მითხად-ფაშას მაჰმადიანთა და ქრისტიანთა თანასწორობის წინააღმდეგ.

1876 წელს 31 აგვისტოს სულთანი მურადი ტახტიდან გადაადგდეს ეხლანდელი სულთანი აბდულ-ჰამიდი ავიდა ტახტზე. უკვე ამავე წლის 10 სექტემბერს ახალმა სულთანმა განსაკუთრებულ მანიფესტით გამოაცხადა, რომ მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი მმართველობის წესებში ძირითადი რეფორმები მოვახდინო და კონსტიტუცია გამოვაცხადო. 1876 წელს 22 დეკემბერს კონსტიტუციის პროექტის ავტორი მითხად-ფაშა დაინიშნა დიდი ვეზირად და მეორე დღეს, 23 დეკემბერს, დიდის ამბით გამოცხადებულ იქნა კონსტიტუცია.

მითხად-ფაშისა და გარეშე საქმეთა მინისტრის სავფე-ფაშის სახელობაზე გამოცხადებულ რესკრიპტში სულთანი სწერდა. „ჩვენი სახელმწიფო წესი და უფლება ეხლა დაუკავშირდა კონსტიტუციონურ წარმომადგენლობით წესსა. ამიტომ ჩვენ ტახტზე ასვლის უმალ აუცილებელ საქმედ ვსცანით პარლამენტის დაწესება. ძირითადი კანონი, ჩვენ მიერ ეხლა დამტკიცებული, უზრუნველჰყოფს მონარხის უფლებას, ოსმალეთ ქვეშევრდომთა სამოქალაქო და პოლიტიკურ თანასწორობას, მინისტრების და მოხელეების პასუხის მგებლობას და მოვალეობას, პარლამენტის უფლებას—კანტროლი გაუწიოს მთავრობის მოქმედებას, მოსამართლეთა სრულს დამოკიდებულობას, ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის სრულს თანასწორობას დასასრულ, ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას, მხოლოდ გადამწყვეტი ძალა უნდა შერჩეს ცენტრალურ მთავრობას, შეწვევითა ღვთისათა ვბრძანებთ, დაუყოვნალივ განახორციელონ მთელს იმპერიაში ჩვენ მიერ ხელმოწერილი კონსტიტუცია“.

გამოცხადებულ კონსტიტუციის ძირითადი მუხლები შემდეგია: ოტომანის იმპერიის ერთიანობა და განუყოფლობა, უპასუხისმგებლობა და ხელშეუხებლობა სულთნისა, რომელსაც იგივე უფლება აქვს, როგორც აქვთ ევროპის კონსტიტუციონალურ ხელმწიფებს; პირად თავისუფლების უზრუნველყოფა: სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებულია ისლამი, მაგრამ ყველა ცნობილ სარწმუნოებას უფლება ეძლევა თავისუფლად შეა-





სრულოს თავისი კულტი (სარწმუნოებრივი წესი); ბეჭდვის და კრების თავისუფლება; პეტრიციის უფლება; იმპერიის ყველა ქვეშევრდომთა თანასწორობა კანონის წინაშე, პარლამენტი შესდგება ორის პალატისაგან: სენატის და დეპუტატთა პალატისგან, ყოველნიც ყოველ წელს 1 ნოემბერს უნდა იქმნენ მოწვეულნი 4 თვით. დეპუტატებს, თითო კაცს ყოველ 100 ათას მცხოვრებისგან, არჩევენ საიდუმლო კენჭის ყრით 4 წლის ვადით. თუ პალატა დათხოვნილ იქმნა, ახლად არჩეული პალატა უნდა მოწვეულ იქმნას არა უგვიანეს 6 თვისა დათხოვნის შემდეგ.

მოსამართლეებს ვერაფერს გადააყენებს. სასამართლოებში ხალხის თანადასწრებით არჩევენ საქმეს. ბიუჯეტი უნდა შეტანილ იქმნას პარლამენტის სესიის დაწყების უმალ და მტკიცდება მხოლოდ ერთი წლით. საკანტროლო პალატა, რომლის წევრებს ვერაფერს გადააყენებს, წარუდგენს ყოველ წელს დეპუტატთა პალატას ანგარიშს ბიუჯეტის ასრულების შესახებ, ხოლო ყოველს სამს თვეს სულთანს წარუდგენს მოხსენებას ფინანსთა მდგომარეობის შესახებ. შემოდებულია ადგილობრივი თვით-მმართველობა და ადგილობრივ საქმეებს განაგებენ ხალხის მიერ არჩეულნი პროვინციალური საბჭოები პირველ დაწყებითი სწავლა სავალდებულოა.

ამ კონსტიტუციის ავტორი მითხად-ფაშა თითონ ვეღარ მოესწრო ოსმალეთის პარლამენტის გახსნას.

მითხად-ფაშამ შეიტანა კონსტიტუციაში ახირებული მუხლმ მე-113. რომლის ძალით სულთანს უფლება ეძლეოდა გადაესახლებინა, დაეკარგა ყველა, ვისაც იგი საშიშოდ ჩასთვლიდა სახელმწიფოსთვის. ამ ახირებულ მუხლის პირველ მსხვერპლად შეიქმნა თვითონ მითხად-ფაშა, რომელიც 1877 წელს თებერვალში ერთს მიყრუებულს ადგილში გადაკარგა აბდულ-ჰამიდმა.

1877 წელს 19 მარტს პარლამენტი გაიხსნა სულთანის სეფეს სიტყვით, რომელიც მეტად ლიბერალური იყო და თავდება ამ ნაირად. „ამიერიდან ყველა ჩემი ქვეშევრდომი, როგორც შეილი ერთისა და იმავ სამშობლოსი, დემორჩილებიან მხოლოდ კანონის მოქმედებას.“

27 მარტს პალატამ მიიღო საპასუხო ადრესი

და მტკიცედ აღნიშნა, რომ უცხოეთის სახელმწიფოთა ჩარევა ოსმალეთის შინაურ საქმეებში შეუწყნარებელია.

პარლამენტის გახსნის უმალ დიდი მტრობა დაუწყო ოსმალეთის უმაღლესმა ბიუროკრატამ. 27 ივნისს ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ დაიხურა პარლამენტის პირველი სესია. ხოლო სულთანმა 18 აგვისტოს ძლივს დაამტკიცა ბიუჯეტი.

პარლამენტის მეორე სესია გაიხსნა 1877 წელს 13 დეკემბერს სეფე-სიტყვით. ოპოზიციამ, რომელსაც პალატაში ჰყავდა 51 წარმომადგენელი, 1878 წელს 6 თებერვალს მკაცრი კრიტიკით გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ; 19 თებერვალს მთავრობამ დაითხოვა პალატა და მას აქეთ აღარც შეუკრებია.

მას აქეთ გამეფდა ოსმალეთის ცნობილი რეჟიმი, დაფუძნებული შესყიდვასა, მკვლელობასა, ცარცვასა და ძალმომრეობაზე. კონსტიტუციის მომხრეთა უმეტესობა ან გადაკარგეს ოხერ ადგილებში, ან დახოცეს; ზოგმა საზღვარ გარეთ მოასწრო გაქცევა და იქ მოაწყო ახალგაზდა ოსმალთა ორგანიზაცია და მოძრაობა.


30 წელიწადზე მეტი გავიდა ოსმალეთის პირველ პარლამენტის დათხოვნის შემდეგ და მთელი ეს ხანა ახალგაზდა ოსმალნი სასტიკად ებრძოდნენ სულთანსა და მის წესწყობილებას. ეხლა ხომ ეს ბრძოლა დიდ რევოლუციად გადაიქცა და გამარჯვებით დასრულდა. („რ.“)

**კონსტიტუციის გამოცხადების წინ.**

7 ივლისს ფერისოვინჩში შეიკრიბა 20 ათასზე მეტი ალბანელი ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობაზე მოსალაპარაკებლად. თათბირის შემდეგ ალბანელთა მეთაურებმა დეპეშა გაუგზავნეს სულთანს და კონსტიტუციის გამოცხადება მოსთხოვეს; ამავე დროს მათ რკინის გზის ადმინისტრაციას მოსთხოვეს საგანგებო მატარებელი უსკუბში წასასვლელად. ხილიმ-ფაშის ნებართვით მატარებელი მიეცათ ალბანელებს.

8 ივლისს უსკუბში ალბანელებმა გამართეს ახალი მეტად შუოთიანი კრება. კრების დროს სულთანისაგან მიიღეს გადაკიბული პასუხი. მაშინ ალბანელების უფროსმა მეთაურმა კრებას დაუხატა სურათი, თუ როგორ იღუპება და ოხრდება ოსმა-





ლეთის მექრთამეობისა, უკანტროლო მმართველობისა და უცხოელთა ბატონობისაგან. ყველა დამსწრეთ ამის შემდეგ დაიფიცეს ყორანზე, უთუოდ უნდა აღვადგენინოთ სულთანს ძველი კონსტიტუციაო. როცა ეს გადაწყვეტილება შეიტყეს ილდიზში, მაშინვე თავდაპირველად სამსახურიდან გადააყენეს ძველი დიდი ვეზირი საიდ-ფაშა, უსკუბელ ალბანელების ფიცმა ისე ძლიერად იმოქმედა სტამბოლში, სულთანის სასახლეში მყოფ ალბანელებზე, რომ სულთანს იმედი დაეკარგა თავის პირად უშიშროებისა... და აბდულ-ჰამიდი დასთანხმდა კონსტიტუციის აღდგენას.

**ოსმალეთის რევოლუციონურ პარტიების დეკლარაცია.**

წარსულ 1907 წელს დეკემბერში ოსმალეთის ყველა რევოლუციონურმა პარტიებმა მოახდინეს კრება და შეიმუშავეს საერთო მოთხოვნები და საერთო მოქმედების პლანი. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ: ოსმალთა კომიტეტი თავისუფლებისა და პროგრესისა (ახალგაზდა ოსმალთა პარტია), ოსმალთა საზოგადოება კონსტიტუციისა და დემოკრატიისათვის, „აბდი-ოღმანის“ კომიტეტი, რედაქცია გაზეთ „ქილიაპეტ“-ის (არაბების გაზეთია), ურიების ეგვიპტელი კომიტეტი, სომხის რევოლუციონური ფედერაცია და შნაკუტუნი, რედაქცია სომხურ გაზ. „არმენია“-სი, რედაქცია „რაზმიგ“-ისა და რედაქცია „ჰაირენიკ“-ისა. კრებამ გამოსცა დეკლარაცია, რომელიც თავდაპირველად მკაცრად გამოხატავდა ოსმალეთის ეხლანდელ წესწყობილებას და თითონ სულთანს აბდულ-ჰამიდს, რომელმაც გააღატაკა, დააგლახა და სირცხვილში ჩააგდო ოსმალეთი და მრავალი ადგილი დაუკარგა იმპერიას, დეკლარაცია შემდეგ ამტკიცებს, რომ თუ სულთანის დამღუპველი მმართველობა დიდხანს გასტანს, მაშინ ოსმალეთის იმპერია დაიშლება და მას ხელში ჩაიგდებენ უცხოელებიო. მხოლოდ წესწყობილების დაუყონებლივ შეცვლას შეუძლიან თავიდან ააცილოს ოსმალეთს კატასტროფა და დანაწილება.

- კრება მიტომ შემდეგს მოითხოვს:
1. აბდულ-ჰამიდი ტახტიდან უნდა გადადგეს.
  2. ეხლანდელ წესწყობილების რადიკალური შეცვლა.

3. კონსტიტუციის და პარლამენტის დაწესება. ამ მიზნის მისაღწევად კრებას საქიროდ მიაჩნია შემდეგი საშუალებანი:

1. შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ მთავრობის განკარგულებათ.
2. პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვა: მოხელეებისა და პოლიციის გაფიცვა და სხვა.
  - ა. უარი გადასახადების მიცემაზე.
3. პროპაგანდა ჯარში
4. საყოველთაო აჯანყება და სხვა ყოველნაირი გარემოების შესაფერი ღონისძიება.

20 ივლისს სტამბოლში ხალხს შვადღემდე ურიგებდნენ ხონთქრის მიერ გადმოცემულ გატიუმაუნს (მანიფესტს) ძირითად სახელმწიფო კანონების შესახებ. მანიფესტი თავდაპირველად აცხადებს, რომ ამ ჟამად იმპერია მომწიფდა კონსტიტუციონურ წესწყობილებისთვის და ამიერიდან კონსტიტუცია არას დროს აღარ იქნება დარღვეულიო. შემდეგ ჩამოთვლილია 15 მუხლი, რომელშიაც სხვათა აღნიშნულია, რომ ყველა ქვეშევრდომი სარგებლობს პირად თავისუფლებით, უკანონოდ ყერავას მისცემენ სამართალში, ვერ დაატუსაღებენ, ვერ ჩასმენ საპატიმროში და ვერ დასჯიან; განსაკუთრებულ სასამართლოების დანიშვნა შეუწყნარებელია; ყველა ქვეშევრდომს აქვს სრული უფლება სადაც უნდა, იქ წავიდეს და სადაც ჰნებავს, იქ იცხოვროს უპასპორტოდ; კერძო წერილებსა და გაზეთებს ვერ დაიჭერს ფოსტა; დადგენილია სწავლების თავისუფლება; მოხელეები მოვალენი არ არიან დემოკრჩილნენ ისეთ ბრძანებას, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, და შეუძლიანთ, როცა ჰსურთ, სამსახურიდან გადადგნენ; დიდი ვეზირის წინა დადება უნდა დაამტკიცოს სულთანმა. შემდეგ მანიფესტში მოყვანილია ინსტრუქცია მოხელეებისთვის, რომ ყოველ წლის დამდგეს სრულიად უნდა დაიბეჭდოს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. აწ არსებულ კანონების გამოსაცვლელად საქირო კანონ-პროექტები წარედგინება დებუტატთა პალატას. ჯარი ახალ წესზე იქნება მოწყობილი. დასასრულ მანიფესტში გამოთქმულია სურვილი, რომ ღმერთმა მოგვცეს გამარჯვება სახელმწიფო საქმეშიო (ა. ს.)



„პეტერბ. დებ. სააგენტო“-ს ცნობით აღრიანოპოლში შემდეგი ამბები მომხდარა:

19 ივლისს აღრიანოპოლში ორმა პოლკმა უარი თხრა და აღარ დასმორჩილად ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს. დუქნები დაიხურა. ქალაქს თავსარი დაეცა. მოხელეები საფრანგეთის საკონსულოში გაიქცნენ.

20 ივლისს აღრიანოპოლის ვაგზალი დაიჭირა მე-2 კორპუსის რამდენიმე ათასმა ჯარის კაცმა, რომელნიც ეპირებდნენ სტამბოლში წასვლას იმის გასაგებად, სულთანს ხომ არა დაშავებია რაო. ცარის კაცებმა მოჰკლეს რამდენიმე აფიცერი—ხელმძღვანელი რესპუბლიკანურ მოძრაობისა, რომელმაც უკანასკნელ დღეებში იჩინა თავი ქალ. აღრიანოპოლში. ზოგიერთმა გავლენიანმა მოქალაქემ დაარწმუნეს ჯარის-კაცები, აირჩიეთ 300 დეპუტატი და სტამბოლში გაგზავნეთო. მართლაც და ჯარისკაცების დეპუტაცია წავიდა სტამბოლში, სულთანმა მიიღო იგი და დაუყონებლივ უკან დააბრუნა. აპიცრების წინააღმდეგ მოთავეებად იყვნენ პოლკის მოღებები. ეხლა იმედი აქვთ, რომ წესიერება აღრიანოპოლში აღდგენილ იქნება და რესპუბლიკანური აგიტაცია მოისპობა,

16 ივლისს სულთანმა გამოსცა ოსმალეთის პოლიტიკისთვის მეტად მნიშვნელოვანი ირადე (ბრძანება), რომლის ძალით ოსმალეთის ყველა საერთაშორისო საქმე ილდიზ-კიოსკიდან გადადის მალალ პორტას ხელში, ანუ უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ, ამიერიდან გარეშე საქმეებს აწარმოვებს ოსმალეთის სამინისტრო და არა თითონ სულთანი, რომელიც დღემდე თითქმის მარტოკა უძლობდა ყველა სახელმწიფო საქმეს, მეტადრე გარეშე პოლიტიკაში. ასე რომ პორტა ამას იქით იქნება ნამდვილი ხელმძღვანელი სახელმწიფო საქმეების.

ოსმალეთის მომავალ დეპუტატთა პალატაში იქნება 480 წევრი, სენატში—160. სენატში მუსულმანთა გარდა, წარმომადგენლები ეყოლებათ აგრეთვე ბერძნებს, ურიებს და სომხებს. დეპუტატები არჩეულ იქნებიან 4 წლის ვადით. საარჩევნო უფლება ექნება ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომს სრულ წლოვან (21 წელს გადაცილებულს) მამაკაცს, რომელიც რაიმე გადასახადს იხდის. არჩევანში მონაწილეობას არ იღებენ ბედუინები და

სხვა მომთაბარენი. არჩევანი იქნება ფარული. დეპუტატთა პალატაში ოსმალთა ზარდა წარმომადგენლები ეყოლებათ აგრეთვე ალბანელებს, ბერძნებს და ურიებს.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი თხოულობს, რომ ორი მინისტრის ადგილი მიეცეს მათ პარტიის წევრებს, რომელნიც უზრუნველყოფენ კონსტიტუციის განხორციელებას. (გ. მ.)

კონსტიტუციის და ამნისტიის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთში დაბრუნდა 80 ათასი ემიგრანტი და 60 ათასი სომეხი.

სტამბოლში სცხოვრობს 100 ათასამდე სპარსელი. ამ სპარსელების წარმომადგენლებმა დეპუტატთა გაუგზავნეს შაჰს, რომ თუ იგი ნამდვილ კონსტიტუციას არ დააწესებს, ჩვენ ყველანი ოსმალეთის ქვეშევრდომობას მივიღებთო.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

\* \* სახალხო განათლების სამინისტრომ შეიტყო, რომ უმაღლესს სასწავლებელთა მოწაფეთაგან ზოგიერთს ყალბი ატესტატი წარუდგენია საშუალო სასწავლებლის გათავების შესახებ. ჯერ ჯერობით აღმოჩნდა, რომ ყალბი ატესტატები წარუდგენიათ შემდეგ გიმნაზიების სახელით: ვილნოს პირველ გიმნაზიისა, ვარშავის მეორის და მექსისა, ტუილისის პირველ და მესამე გიმნაზიებისა, ქუთაისისა და ხარკოვის მესამე გიმნაზიებისა და ვარშავის უნივერსიტეტის სახელით. ამ ყალბ ატესტატებით შესულან უნივერსიტეტებისა და ფარმაცევტის კურსებზე. ამის გამო განათლების სამინისტრომ უბრძანა უმაღლეს სასწავლებელთა უფროსებს, რომ დაუყონებლივ შეამოწმონ ყველას ატესტატი, ვინც კი მათს სასწავლებელში სწავლობს, და ბეჯითი ყურადღება მიაქციონ იმათ ლოკუმენტებს, ვინც ამას იქით შევლენ უმაღლესს



სასწავლებელში; და თუ რომელსამე მოწაფეს აღ-  
მოაჩნდება ყალბი ატესტატი, ეს საქმე მაშინვე სა-  
სამართლოს გადაეცეს და განათლების სამინის-  
ტროს ეცნობოს.

\* \* \* თავდასხმა გასატაცებლად. ბაქოში, ადგი-  
ლობრივ გაზეთების სიტყვით, ექსპროპრიატორებს  
კინალამ ნავთის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე  
არ. გ. ფეიგლი არ გაუტაცნიათ. 10 ივლისს საბ-  
ჭოს თავმჯდომარე და კასპისკო ჩერნომორსკის  
საზოგადოების გამგე ფეიგლი საზოგადოების ერთ  
მოხელესთან ერთად თაიროვის სახლიდან გამოსუ-  
ლდა. ორი ნაბიჯი გადაუდაგამთ თუ არა, კოლიუ-  
ბანკინის ქუჩაზე დაუნახავთ, რომ ვილაცყები  
ეტლს მიაქანებდნენ. უცბათ ეტლი გაუჭერბიათ,  
სამი ყმაწვილი გადმომხტარა, უტაცნიათ ხელი  
ფეიგლისთვის და უთქვამთ: არ მოგკლავთ, ოღონდ  
უნდა ტყვედ წამოგვყვითო. ფეიგლი შევბრძოლებია  
იმას, ვისაც ხელი უტაცნია. ბრძოლის დროს  
ორივენი წაქცეულან. ყვირილი და ხმაურობა გაუ-  
გონიათ პოლიციელებს. უცნობთ შეშინებიათ, რამ-  
დენჯერმე უსროლიათ ფეიგლისთვის უნაყოფოდ  
რევოლვერი და გაქცეულან.

\* \* \* როგორც შევიტყვეთ 9 აგვისტოსათვის  
კავკასიის სამხედრო სამსახურში განსახილველად  
დანიშნულია ყვირილის ცნობილი პოლიტიკური  
საქმე. პასუხისგებაში მიცემულია მასწავლებელი  
სტეფანოვი, სადგურის უფროსად ნამყოფი პოდ-  
კოლზინი და სხვანი, სულ 30 კაცამდე. მრავალი  
მოწმეა დაბარებული. სხვათა შორის დამცველებად  
მიწვეულნი არიან ნაფიცი ვეჟილები სოკოლოვი,  
ბარათაშვილი, კლანკი და სხვანი.

\* \* \* ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტო-  
რი ზაქარია როსტომაშვილი, თავისავე თხოვნით,  
სამსახურიდან დაითხოვეს. იმის ადგილზე დანიშნეს  
შემახის რეალურ სასწავლებლის დირექტორი ივა-  
ნე ლეონტიევი.

\* \* \* ჩამოხრჩობა გადასახლებულ ქართველებს.  
1 და 2 ივლისს, რუსეთის გაზეთების სიტყვით,  
ყაზანის სამხედრო სასამართლოს გაურჩევია საქმე  
ვიატკის გუბერნიაში გადასახლებულთა მელქისედეკ  
ჭანტურაძესი, ალექსანდრე გეორგაძესი, ალექსანდ-  
რე ვაშაძისა და ადგილობრივ მცხოვრების დავით  
რაპპოპორტისა. ამათ ჰბრალდებოდათ ვიატკის

გუბერნიაში, მალმაჯის მაზრაში სოფელ სლოუდკიში  
მელქენზე თავდასხმა, სასამართლომ რაპპოპორტი  
გაამართლა, ხოლო გეორგაძეს, ჭანტურაძეს და  
ვაშაძეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

\* \* \* საადგილ-მამულო ბანკს მეორე ვაჭრობის  
შემდეგ დარჩა 35 ქალაქის მამული და 93 სოფ-  
ლის მამული. ასე თუ გაგრძელდა საქმე, მთელი  
მამულები ბანკს შერჩება. როგორც ისმის, ბანკის  
ადმინისტრაცია უკანასკნელ კრების შემდეგ მხნედ  
შეუდგა დარჩენილ მამულების განაღდება და კიდე-  
ვაც გაუყიდნია უზარალოდ რამდენიმე მამული.

\* \* \* ასტრახანის და სარატოვის გუბერნიების  
და სამარის გუბერნიის რამდენიმე მაზრა საშიშრა-  
დაა გამოცხადებული ხოლერის მხრივ.

ასტრახანში 8 ივლისს გარდაიცვალა ხოლე-  
რისაგა ბაქოდან ჩამოსული მუშა. ქალ. ასტრახან-  
ში აქამდე ხოლერით ავად გახდა სულ 13 სული,  
მათგან გარდაიცვალა 7. მაზრებში არავინ გამხ-  
დარა ავად.

ქალ. ცარიცინში აქამდე სულ 12 სული გახ-  
და ავად, გარდაიცვალა 11.

\* \* \* 12 ივლისს გაიხსნა სრულიად რუსეთის  
მისსიონერთა კრება. კრებაზედ დასასწრებად მო-  
ვიდნენ სამივე მიტროპოლიტი, სინოდის ობერ-  
პროკურორი, 7 არხიეპისკოპოსი, კრებას 500-ზე  
მეტი წევრი რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან,  
სახელმწიფო საბჭოს წევრი გრაფ შერემეტიევი,  
გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვანი.

\* \* \* სანაიაში ვილაც უცნობებს განუზრახავთ  
სომეხთა მთავარ-ეპისკოპოსის გარეგინ სატურნიან-  
ცის გატაცება, ალბად ფულის დასატყუებლად.  
უცნობებს ჯერ გაუტაციათ მთავარ-ეპისკოპოსი  
გარნაკერიანი და მასწავლებელი საბატი, რომელ-  
ნიც სანაინიდან ახპატის მონასტერში მინავლან,  
მაგრამ როცა გაუგიათ, რომ გატაცებული სატუ-  
რიანიცი არ იყო, გაუნთავისუფლებიათ. მერე წა-  
სულან სანაინში, სადაც სატუნინი ამ დროს აი-  
ვანზე ჩაისა სვამდა. ერთი მისულა, ხელზე მთხვე-  
ვია და უთქვამს, ვილაც კაცი გიხმობს გარეთაო.  
როდესაც ეპისკოპოსი არ გაჰყოლია, ძალად მოუ-  
სურვებიათ მისი წაყვანა, მაგრამ მიშველებიან არ-



ქართული  
ენების  
მეცნიერება



ქიმიანდრიტი ზაქარია და ეპისკოპოსის ძმის-წული, ჭაბუკი ვაშნაკი. ყვირილის გამო უცნობნი აღარ დამდგარან, წასულან და თან წაუყვანიათ ვაშნაკი, მაგრამ მას გზაზე უთქვამს, რომ მოსამსახურე ვარ ეპისკოპოსისაო და გაუნთავისუფლებიათ.

\* \* \* ქუთაისის გენერალ გუბერნატორმა შეწუხებულ საზოგადოებას ორი ნაზრისას დაჰპირდა, რომ აუკრძალავს ყვირილის მდინარის გაჭუჭყიანებას მარგანეცის რეცხით. მისი ბრძანება სისრულეში მოვა მცირეს ხანში. ქება და ღიღება მას, რომ მან შეიძლო ის, რაც ამდენმა გუბერნატორებმა ვერ შეიძლეს...


\* \* \* 22 ივლისის რიცხვებამდის ძლიერ სიცხეები დაიწყო და უცფად აიწია სიმინდის ფასმა. მაგრამ 22 რიცხვიდამ კარგა მოზდილი წვიმები დაიწყო და ისევ დაიწია სიმინდის და პურის ნიხრმა.

\* \* \* ღვინის ფასი ყოველ ადგილას ისევ დაწეულია. მშვენიერი ღვინო მანეთ და მანეთ ნახევრათ იყიდება.

\* \* \* ქუთაისის გუბერნატორმა შორაპნის მაზრა მოიარა და ხალხს დიდ ხანს ესაუბრებოდა, ხალხი ძლიერ მადრიცლი იყო მისი დარიგებით.

\* \* \* განსვენებულმა მთავარ ეპისკოპოსმა ნიკონმა აღძრა დიდად საყურადღებო კითხვა სასინოდო კანტორაში გაფლანგულის ორას ორმოცდაათი ათასი მანეთის ამოგების შესახებ. მისი აზრით, ვინაიდან ეს ამოდენა ფული გაიფლანგა კანტორის მმართველების დაუდევრობით, უნდა გარდაეხადათ იმათ კის დროსაც მოხდა ამ ფულების გაფლანგვა. ამნაირად ფულები ეთხოვებოდა მიტროპოლიტებს ვლადიმირს და ფლაბიანეს, მთავარ ეპისკოპოსებს ნიკოლოზს და ალექსის და კანტორის წევრებს. ბრალდებითი წერილები კიდევ ჩაბარდა ყველას, მაგრამ აღარა ისმის რა ამ კითხვის შესახებ. მთავარ ეპისკოპოსი ნიკონი, როგორც იციან, უკვე მოკლეს და ფულების ამოგების შესახებ აღარა ისმის-რა. დიდი გასაბედავი საქმე კი ჩაიდინა მთავარ ეპისკოპოსმა ნიკონმა...

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.




პირველი იქნებინან უკანასკნელი.

(თარგმანი)

აქამდის საფუძველნი ჩვენის ზნეობისა შეურყვევლად იყვნენ დამყარებულნი ღვთის ათ მცნებაზე და მაცხოვრის სახარების სწავლაზე. ამას აღიარებდა მთელი განათლებული ქვეყანა, სხვა და სხვა სარწმუნოების აღსარების ხალხნი და თითონ ატეისტებიც. სახარების ზნეობითი სწავლას ანგარიშს უწევდნენ ქრისტიანობის მტრებიც. ჩვენ ქრისტიანებს მიგვაჩნია თვითეული ადამიანის მოვალეობად, რომ უნდა გაიაროს იმან ამ ქვეყნად ცხოვრების ზნეობრივი სკოლა, რომ გახდეს იგი ღვთის სასუფეველის ღირსეულ შვილად.

—თუ გინდა შეხვიდე საუკუნო ცხოვრებაში, —სთქვა მაცხოვარმა, —დაიშარხე მცნებები. ხოლო თუ გინდა სრულ-ყოფად, წადი, გაჰყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა; და გექმნება საუნჯეცათა შინა; და მოვედ და შემომიდეგ მე.

ჩვენს ახალს დროებაში, როცა ყოველივე საფასურს ახალი ფასი ედება, ბევრის წარმოდგენაში შეირყა მაგარი საფუძველნი ქრისტიანობრივი ზნეობისა, შეირყა ის წარმოდგენილებანი, რომლითაც სცხოვრობდნენ ადამიანები მრავალ საუკუნოების განმავლობაში. ის, რაც წინათ მიაჩნდათ წმიდათ და აყენებდნენ მაღლა, ეხლა აყენებენ ყველაზე დაბლა; და პირიქით: რაც უფლის წინაშე საძაგელია, ის გახდა ხალხში სანატრელად. ბიწიერება მიაჩნიათ სათნოებად, ხოლო სათნოება — ბიწიერებად. ქრისტიანულ მოძღვრებას თავმდაბლობაზე, მოთმინებაზე და სიწყნარეზე ხალხი დასცინის. თანამედროვე კაცს უნდა გახდეს ადამიანზე





მალლა. სხვაზე მალლა დადგომა, სხვისი არაფრად მიჩნევა, ღვთაებრივი და კაცობრივი კანონების უარ-ყოფა,—აი იდეალი, რომელსაც მისტევს ახალი ხალხი. ამპარტავენობა, რომელიც წინაღ იყო მიჩნეული თვით უსაშინელეს ცოდვად, ეხლა არის მიჩნეული როგორც თვით უმაღლესი სულიერი სიმშვენიერე.

—„მე იგი ძალიან მიყვარს: ის ასეთი და ასეთი ამპარტავენია!“—ამბობს თანამედროვე ახალგაზღვობა.

—კმარა,—გაიძახის კიდევ ის,—დამამცირებელი ქადაგება „უკანასკნელად“ ყოფნისა, სხვის მონად ყოფნისა. ეხლა უნდა ვიყვნეთ „პირველნი“, დიდნი, მიუწთომელნი!

და ყველა უნდა ავიდეს სიმაღლეზე სატანას პირამიდისა, ამპარტავენობისა, თავმომწონეობისა. ყველას პირველობა უნდა. გამოდის ხალხი სხვა და სხვა სარბიელზე, სხვა და სხვა ხელობაზე და სცდილობს რომ თავის თავი გამოიჩინოს.

—მე არ მომცემენ კაროლობას, მინისტრობას, გენერლობას... მაშ მე ვნახავ ისეთ გარემოებას, სადაც მე პირველი ვიქნები.

და მართლაც აი ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი სცდილობს გამოიჩინოს თავი ან წარჩინებულად, ან მდიდრად, ან ჭკვიანად, ან ლამაზად, ან მარდად. აქედანაა მისწრაფება შესანიშნავ არტისტად გახდომისა, მხატვრად, მემუსიკედ, ინჟინერად, ნასწავლად.

თუ რომ კაცს არ შეუძლიან დაიჭიროს პირველობა სულიერ, გონებრივ სფერაში, მაშინ იგი მიმართავს ფიზიკურ მხარეებს. ეხლა გამოსჩნდნენ პირველი მებრძოლნი, პირველი მეველოსიპედები, პირველი წრიაპეებით-მოსილნი, პირველი მოთამაშეები... მხოლოდ-კი პირველობა ჰქონდეთ.

—არ მივაჩნიათ ქვეყანაზე პირველად; მაშ ვიქნები პირველი სახელმწიფოში, ქალაქში, სოფელში! თუ რომ არ მომცემენ მთელი ქვეყნის ჩემპიონის წოდებას, მაშ ვიქნები საფრანგეთის, ნემცების ან რუსების ჩემპიონად! პირველობის ძებნა სასაცილომდის მიდის. მაგალითად, გაჩნდნენ პირველი მჭამლები, პირველი მსმელები, პირვილი...

ყველა ეს პირველობის მაძიებელი სცდილობენ თავიანთ წოდება რაიმე ნიშნებით აღნიშნონ. გაჩნდა ბევრგვარი გულზე დასაკიდი ნიშნები, ჟეტონები, ბრელოკები...

—მიყურეთ, რანაირი გონიერი ვარ მე, ნასწავლი ვარ, ღონიერი ვარ, სხვაზე უმჯობესი ვარ!

ყველაფერი ეს კეთდება იმისთვის, რომ ხალხს ეჩვენენ ისინი ამნაირათ, ხალხმა შეაქოს ისინი. მაგრამ იმათზე რას ამოხს მაცხოვარი?

—ქეშმარიტად გეტყვი თქვენ: მიუღებთ იმათ სასყიდელი თვისი.

მაგრამ ყველაზე საშინელი აქ ის არის, რომ ყველა გს „პირველები“ არამც თუ ამ ქვეყნად არ შიღებენ საჩუქარს, არამედ მომავალ ღვთის სასუფეველშიაც გახლებიან უკანასკნელნი, იმისთვის რომ ეს სახარებაში არსებობითი კანონია:

„უკანასკნელნი იქნებიან პირველნი, ხოლო პირველნი—უკანასკნელნი. რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი იგი ამაღლდეს“,

წინასწარმეტყველნი და მოციქულნი ნათლად გვიხატავენ ჩვენ სახეს ქვეყნისას, ბოლოს დროს გაამპარტავენებულისას:

„მის წილ რომელ ამალდა გული შენი და თქვა ღმერთი ვარ მე; შენ კაცი ხარ და არა ღმერთი და მიეც გული შენი გულად ღვთისა; სიმრავლისა მიერ ზედ მიწვეწულობისა შენისა და ვაჭრობისა მიერ შენისა განამრავლე ძალი შენი, და ამალდა გული შენი ძალსა ზედა შენისა; ამალდა გული შენი სიკეთესა შენსა ზედა, და განიხრწნა ზედ მიწვეწულება შენი სიკეთისა თანა შენისა. და არა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკი, და საწყალობელ, და გლახაკი, და ბრმა, და შიშველი.“ (ეზეკიელისა 28 თავი, მუხ. 2,5.17.; გამოცხადება იოანესი 1.17).

განა ეხლა ჩვენ არ განვიცდით სულიერ სიბრმავეს ჩვენს უზომო ამპარტავენობაში? რა არ ვნახეთ, და რა არ გავიგონეთ ამ ბოლო ხანებში? რანაირ უარ-ყოფამდის არ მიდიოდნენ აღვირ-აშვებული ადამიანები! ოხ, იმათ ერთ წამს მაინც შეეხედნათ ქვეყნიერებისთვის უბრალო მორწმუნე კაცის თვალთ,—რა საშინელი შეცდომის უფსკრული გამოჩნდებოდა მათ წინაშე! ისინი არც კი გრძნობენ თავიანთ დაცემას; იმათ მაინც კიდევ ჰგონიათ რომ ზეით მიფრინავენ, და არა ძირს ვარდებიან,

თვითეული ხალხი მიისწრაფვის რომ შეიძინოს მთელი ქვეყანა, თუნდაც თავის სულის დაღუპვის საფასურით. მსგავსად აპოკალიპსის ბაბილონისა, თანამედროვე დიდი სახელმწიფოები მზათ არიან თითონ დაიჭირონ მთელი ხმელეთი, მთელი ზღვა და უფლებდენ სხვა დანარჩენ ხალხებზე.



როგორი ცილობა აქვსთ ერთმანეთში ინგლისსა და გერმანიას ევროპაში პირველობისათვის! როგორ სკდილობენ ისინი, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაიჭირონ თავიანთ მფლობელობის ქვეშ ბევრი ადგილები! თავიანთ გამჭირაბ გონებას ისინი ხმარობენ ვაჭრობაზე და მრეწველობაზე. ორივენი სწრაფად მდიდრდებიან. მაგრამ ამასთან რამოდენა ამპარტავნობა აქვს ამ ორივე ხალხს! „იუფლე, ბრიტანიავე, ყველა ხალხებზე!“ — კმაყოფილებით ამბობენ ინგლისელები. „გერმანიავე, შენ იუფლე ყველა ხალხებზე“ — არა ნაკლების ამყოფით გაიძახიან ნემცები.

უბედურობის დროს ხალხი უფრო ადვილად იგონებს ღმერთს, და ცოდვებს ინანის. ჩვენ ნუგეშად-ლა დარჩენილა მართლმადიდებლობითი სარწმუნოება, როგორც ერთად ერთი დიდი საუნჯე, მოცემული ჩვენდა ქვეყნიურ სხვა კეთილთა მაგიერ. მაშ შევიწინაბოთ ის ჩვენის გულის სიღრმეში; გავიხსენოთ სიტყვები პავლე მოციქულისა, რომლითაც იგი ნუგეშ-სცემს ქრისტიანებს: „რამეთუ იხილეთ-ლა ჩინებულებაჲ ეგე თქვენი, ძმანო: არა მრავალნი ბრძენ არიან ხორციელად, არა მრავალნი ძლიერ არიან, არა მრავალნი აზნაურ არიან. არამედ სულელნი იგი სოფლისანი გამოიჩინა ღმერთმან, რათა არცხვინოს ბრძენთა, და უძლურნი იგი სოფლისანი გამოიჩინა ღმერთმან, რათა არცხვინოს ძლიერნი. და უაზრონი იგი სოფლისანი და შეურაცხნი გამოიჩინა ღმერთმან, და არა — არსნი იგი, რათა არსნი იგი განაქარცხნეს; რათა არა იქადოს ყოველმან ხორციელმან წინაშე ღმრთისა, ამისთვის ნუ წინასწარ ჟამისა რას განიკითხავთ, ვიდრემდის მოვიდეს უფალი, რომელმან-ცა განანათლოს და ფარული იგი ბნელისა, და განაცხადნეს ზრახვანი იგი გულთანი, და მ-შინ ქება იყოს კაცად კაცადისა ღმრთისა მიერ.“ (ა. კორინთელთა 1,26—29; 4,5),

რომელსაც კიდევ უყვარს ქრისტე მაცხოვარი და სწამს მისი მოძღვრება თავმდაბლობაზე და სიწყნარეზე, და მოიგონოს, ამ ჩვენს დროში, სადაც თავმოყვარეობითი მისწრაფებაა „პირველობისადმი“, სიტყვები თვით უფლისა:

„ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნისა მიერ თვისისა, და ნუ იქადინ ძლიერნი ძლიერებისა მიერ თვისისა, და ნუ იქადინ მდიდარი სიმდიდრესა ზედა თვისისა.“

არამედ ამას ზედა იქადოდენ მოქადული, გულის ხმის ყოფასა, და ცნობასა ჩემსა, რამეთუ მე ვარ უფალი მოქმედი წყალობისა, და მსჯავრისა, და სისართლისა ქვეყანასა ზედა“. (იერემიასი 9,23—24).

მღვ. იოანე ლუკიანოვი.



წიგნი „ღვინობელთა“

ნაწილი მეორე (თთ. VIII—X).

ღვთის ბრძანებით, მოსემ მოამზადა ყოველივე, რაც საჭირო იყო არონის და მის ძეთა კურთხევისათვის, — სამოსელი, ზეთი საცხებელად, ზვარაკები მსხვერპლად შესაწირავად და ლაკანა, ანუ კალათი უცომო (გაუღვიარი) პურებით. მან კარავთან შეკრიბა ყოველი ერთი ისრაილისა სამოწმებლად არონის და მის ძეთა კურთხევისა, მოიყვანა არონიც თავისი შვილებით და განბანა იგინი ნიშნად იმ სისუფთავისა და სიწმიდისა, რომელიც მოეთხოვებოდათ მათ, როგორც ღვთის მსახურთ; ამითი დაიწყო აღსრულება კურთხევისა; განბანის შემდეგ, მოსემ შემოსა არონი ჯერ სამღვდელო შესამოსით, შემდეგ მან სცხო ზეთი კარავს და მასში მოთავსებულს ქურჭელს — სამკაულს, ყოველად დასაწველი მსხვერპლის სამსხვერპლო შვიდგზის ასხურა ზეთით, არონსაც დაასხა თავზე ზეთი ისე ბევრი, რომ ტანისამოსზედაც გადმოედინა; შემდეგ არონის შვილებიც შემოსსა სამღვდელო შესამოსით.

ებრაელთა სამღვდელო შესამოსები შემდეგია: 1, სწვიავე სეფისა (გამ. 28,43), რომელიც ფარავდა სიტიტველეს მუხლის თავებამდე; ეს სამოსელი ნიშნავდა განსაკუთრებულს მორცხვობას და მოკრძალებას, რომელნიც უნდა ამკობდნენ მღვდლებს; 2, გრძელი სამოსელი, ანუ კვართი (გამ. 29,5); ეს სამოსელი იყო თეთრი ვიწყრო, სახელოებიანი, ეხლანდელი მღვდლის კაბის მსგავსი. 3, სარტყელი და 4, ფარშამანგი, ანუ თავსახვევი. მღვდელთ-მთავარს გარდა ამ სამღვდელო შესამოსისა, ეცვა კიდევ 5, შესასხმელი ფერხთა, ანუ ხამლები. (გამ.



28,31—35)\*) ცისფერი შესამოსი, რომელსაც ზემოდან ამოჭრილი ჰქონდა თავის გასაყოფი ადგილი, ბოლოზე ამ შესამოსს ეკერა ოქროს ეფენები, რომლებიც თავისი ხმით ატყობინებდნენ ხალხს მღვდელთ-მთავრის მოძრაობას ლოცვის ჟამს; 6, სამხრე, მოქსოვილი მოლურჯო ფერის მატყლისაგან; ეს სამხრე ჰფარავდა გულს და ილღიებ ქვეშ გატარებული ბეჭებზე მიმაგრებული იყო ოქროს ღილე-ბით, რომლებშიაც ჩასმული იყო ექვს ექვსი ძვირფასი ქვა ზედ ამოჭრილი ისრაილის 12 ტომის სახელით; 7, სკიათსავი სასჯელის (გამ. 28,15—29) —ძვირფასი ქსოვილი, რომელიც შემკული იყო 12 ძვირფასი ქვით ოთხ რიგად; ეს ქსოვილი მღვდელთ-მთავარს გულზე ეკიდა: ამაზე ეწერა სიტყვები **საცხადი და ჭეშმარიტება** გამ. 28,30; ლევ. 8,8); ეს სიტყვები აღნიშვნენ სიციხადეს და ჭეშმარიტებას იმ განცხადებისას, რომელსაც **ღებულობდა** მღვდელთ-მთავარი შემოსილი სამხრეთი და სასჯელის საკითხავით; მღვდელთ-მთავრის ვარშამანგზე (თავსახვევზე) წინა მხრიდან მიმაგრებული

\*) შენიშვნა. ლევიტელთა წიგნის 8,7 ქართულს დაბადებაში მღვდელ-მთავრის შესამოსთა შორის მოხსენებულია **ხამლები**, ბერძნულს დაბადებაში, რომლიდანაც ნათარგმნია ქართული, ამ შესამოსს ეწოდება „ეპენდიტის“ — ზემოდ ჩასაცემელი ტანისამოსი; (Греко-русский словарь Вейсмана) სლავურს დაბადებაში, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ქართულის შემასწორებელნი, ამ სახელს ეწოდება „**верхняя риза**“ ე. ი. ის რაც ბერძნულად: რუსულს დაბადებაში, რომელიც ებრაულიდან არის ნათარგმნი — „**верхняя риза**“ — იგივე რაც ბერძნულ-სლავურში; ასევეა ლათინურში — „**პალლიო**“ ზემოდ ჩასაცემელი. გამოსვლათა 28,31—35 ჩამოთვლილია მღვდელთ-მთავრის შესამოსელი და იქა ამ **верхняя ризა**-ს ეწოდება „შესასხმელი ფერხთა“, ანუ იგივე, რაც ხამლები, — ფეხსაცმელები; — აღნიშნული სახელი ამ შესამოსისა დაბეჭდილია ბაქარის დაბადებაში, იქიდან 1884 ტფილისში გამომბეჭდილი და აგრეთვე მოსეს ხუთი წიგნის შესწორებულ 1900 წლის გამოცემაში.

რითი აიხსნება ეს **უცდლოა** ქართულს დაბადებაში, გაუგებარია, მით უმეტეს, რომ სიტყვას „ხამლი“ ქართულად ერთად ერთი მნიშვნელობა აქვს ფეხ-საცმელისა და ებრაელთ მღვდელთ-მთავარი ღვთის მსახურებას ასრულებდა ფეხშიშველი (იხილე ლექსიკონი საბა ორბელიანისა გვ. 400, ჩუბინაშვილისა ქართულ-რუსული გვ. 1721; Библейская история при свѣѣхъ новѣйшихъ открытій. А. Лопухина და Толковая Библия изд. 1904 г. с-петербургъ стр. 372 და 431.) ამ გარემოებას, იმედია, ყურადღებას მიაქცევენ ქართული დაბადების შემსწორებელი კომისიის წევრები.

იყო ოქროს ფიცარი, რომელზედაც ეწერა: „**სიწმიდე უფლისა**“; მღვდელთ-მთავრის **სამოსელი** აღნიშნავდა მისს ღილებას და უმაღლესს ღირსებას.

სამღვდლო პირთა შემოსვის შემდეგ, მოსემ შესწირა სამი მსხვერპლი; პირველი იყო მსხვერპლი ცოდვისთვის არონისა და მის შვილთა (ზვარაკი); მეორე — მსხვერპლი უღ და დასწვევდი (ვერძი) და მესამე იყო საგანგებოდ ამ დღეს შეწირული მსხვერპლი სრულებისა, ანუ არონის და მისი შვილების კურთხევისა. (ვერძი). პირველი ორი მსხვერპლი შეწირულ იქმნენ ჩვეულებრივ, ხოლო მსხვერპლი სრულებისა — შემდეგი გარჩევით. არონმა და მისმა შვილებმა თავზე ხელები დაადეს ვერძსა; დაკვლის შემდეგ, მოსემ წაუსვა სისხლი სამღვდლო პირების მარჯვენა ყურის ძირებზე, მარჯვენა ხელების ფეხების ცერებზე ნიშნად მორჩილების და კეთილ საქმეზე განმზადებულებისა; შემდეგ, მსხვერპლად შესაწირი ნაწილები ხორცისა მოსე მდასო არონის და მისი შვილების ხელებზე და ამით ამცნო მათ, რომ ეძლევათ ნება მსხვერპლის შეწირვის შესრულებისა; შემდეგ, მოსემ აიღო თავის წილად მკერდი ვერძისა და დანარჩენი დასწვა სამსხვერპლოზე; დაბოლოს ზეთით და სამსხვერპლო სისხლით მოსემ კვალად ასხურა არონი და მისი შვილები და ამითი გათავდა მათი კურთხევა; შვიდი დღე ღამე დარჩნენ ახლად ნაკურთხი მღვდელთ-მთავარი და მღვდელნი კარავთან და იმყოფებოდნენ ლოცვით და ვედრებაში (თ. 8).

კურთხევის მერვე დღეს, მოსეს ბრძანებით, ხალხი კვალად შეიკრიბა კრავთან და არონმა თავისი შვილების დახმარებით შესწირა ყველა მსხვერპლები გარდა ბრძანის მსხვერპლისა; მსხვერპლი ჯერ თავისთვის შესწირა და მერე ხალხისთვის; ყოველივე აღასრულა არონმა თანახმად სჯულისა და მოსესთან ერთად შევიდა წმიდაში, სადაც ევედრა ღმერთს ხალხისთვის. არონის და მოსეს გამოსვლის შემდეგ გარდამოხდა ზეციით ცეცხლი, რომელმაც დასწვა ყოველი მსხვერპლი. განკვირებული ერი დაეცა პირსა ზედა თვისსა და მადლობდა ღმერთსა. ამ სასწაულით ღმერთმა აჩვენა ხალხს, რომ მღვდლობა დაწესებულია მისგან. (თ. 9).

ახლად დადგენილმა მღვდლებმა, არონის შვილებმა, ნადაბ და აბიუდმა მოისურვეს შესრულება ჩვეულებრივი კმმევისა საღამოთი; მაგრამ მისი



მაგივრად რომ ცეცხლი სამსხვერპლოდამ აეღოთ, მათ მოიტანეს საცეცხლელებით წინაშე ღვთისა ცეცხლი უცხო, ე. ი. შინაური, ჩვეულებრივი. ასეთი დაუდევრობისთვის ისინი სასტიკად დაისაჯნენ — გამოხდა ცეცხლი უფლისა და შეწვნა იგინი, და მისწუდეს წინაშე უფლისა. ეს მაგალითი სასტიკი სასჯელისა დაუდევრობისთვის ღვთის მსახურების შესრულების დროს გვასწავლის, როგორი სიფრთხილით უნდა ვიქცეოდეთ მღვდლები ჩვენი სამსახურის ჟამს. ღვთის ბრძანებით, არონს და მის დანარჩენ შვილებს მღვდლებს არ უნდა ეგლოვნათ დახოცილი ნადაბ და აბიუდი; იმავე ბრძანებით მღვდლებს აღეკრძალათ ღვინის და თაფლუჭის (დამათრობელი სასმელის) ხმარება; იქნება სიმთვრალეც იყო მიზეზი ნადაბ და აბიუდის დაუდევრობისა კმევის შესრულების დროს? კვლავ გამეორებულ იქმნა ბრძანება, რომ დარჩენილი ხორცი სამსხვერპლო ცხოველისა შექმულ იქმნას წმ. აღგილზე. (თ. 10).\*)

ნადაბ და აბიუდის სასტიკად დასჯამ ცხადჱყო, როგორი სიფრთხილით და მოკრძალებით უნდა მსახურება ღვთისა კრავთან. სიფრთხილე მღვდელთ მთავრისთვისაც იყო საჭირო; ამისთვის, ღმერთმა გამოუცხადა არონს დამოსეს, როგორ უნდა მოქცეულიყო მღვდელთ-მთავარი წმიდაწმითათაში შესვლის წინ. იმ დღეს, როდესაც მღვდელთ-მთავარს შეეძლო წმიდაწმიდათაში შესვლა ერქვა ღვ. ღვინებისა (განწმედისა); ეს ღვინისაწაული ღვინებისა სრულდებოდა ტიშრის თვის მეათე დღეს, ეს დღე იყო შაბათი შაბათთა, ანუ დიდი უქმე ყველასთვის; ამ დღეს ღვთის მსახურებას ასრულდებდა უთუოდ მღვდელთ-მთავარი.

\*) შემდეგს თავებში 11—15 აღწერილია სჯული და კანონები წმიდა და არა წმიდა ცხოველთა, მფრინველთა და ქვეწარმავალთა -ესახებ, პირუტყვთა მძოვრების შესახებ (თ. 4); შესახებ ქალის განწმედისა მშობიარეების შემდეგ (თ. 12); შესახებ კეთროვანთა საცხოვრებელ ადგილებისა და მათი განწმედისა (თთ. 13—14); დედაკაცთა და მამაკაცთა ხორციელ არა წმინდებთა და მათ განწმედის შესახებ. (თ. 15).

პირველად ყოვლისა მღვდელთ-მთავარს უნდა დაებანა მთელი ტანი; დაბანილს ტანზე იცვამდა სელის სამოსელს ნიშნად განსაკუთრებული სიწმიდისა და სინანულისა; შემდეგ მოყავდა სამსხვერპლოსთან ზვარაკი მსხვერპლად თავისი და თავისი სახლის ცოდვისათვის, ორი ვაცი ხალხისაგან და ორიც ვერძი ყოვლად დასაწველად, ერთი თავისთვის, ერთი ხალხისთვის; წილის ყრით გადაწყვეტილიყო, რომელი ვაცია მსხვერპლად შესაწირი და რომელი უდაბურს ადგილში გასაგზავნი, ანუ ფატი გაყვანისა. — შემდეგ, მღვდელთ-მთავარი ჰკლავდა ზვარაკს თავისი და ოჯახობის ცოდვისათვის; ამ ვაცის სისხლით და საცეცხლელებით მღვდელთ-მთავარი შედიოდა წმიდაწმიდათაში და იქ ასხურებდა თითოთ სისხლს საღვინებელს და მის წინ, დაბრუნების შემდეგ ჰკლავს ერთს ვაცს ხალხის ცოდვათათვის; მისი სისხლიც შეჰქონდა წმიდაწმიდათაში და ასხურებდა ჩვეულებრივ, ასხურებდა აგვეთვე წმიდაშიც შეიდ-გზის. შემდეგ ხელებს დაადებდა თავზე წილხლომით ვაცს გაყვანისა, აღიარებდა მაზედ ერის ცოდვას და წინაღვე არჩეულს კაცს გაატანდა უდაბურს ადგილში, საიდანაც ვაცი აღარ დაბრუნდებოდა; ვაცის გამყვანი კაცი უნდა შემდეგ დაბრუნებისა განბანილიყო. ამითი თავდებოდა წესი ღვინების დღესასწაულის ღვთის მსახურებისა. მღვდელთ-მთავარი იხდიდა შესამოსს, იბანდა ტანს და სწირავდა ორს ვერძს ყ-დ დასაწველად. (თ. 16).\*)

\*) შემდეგს თავებში 17—20 ჩამოთვლილია სხვა და სხვა კანონები შესახებ ცხოველთა დაკვლისა, სისხლისა და უსულადო მკვდრის ხორცის ჭამის აღკრძალვისა (თ. 17); შესახებ უკანონო ქორწინებისა, მრუშებისა, სიძვისა და სხვა ხორციელ სისაძაგლეთა (თ. 18); გამეორებულია სხვა და სხვა დროს მოცემული კანონები; (თ. 19); აღწერილია კანონები შესახებ მისნებისა, მშობელთა შეურაცხყოფისა, სისხლის შერევისა და სხვ. (თ. 20).